


სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 18 აპრილი, 20 1896 წ. № 18

შინაარსი: კვირის ფარანი კვიმატისა.—სხვა-და-სხვა ამბავი.—საყურადღებო ამბები.—მუხამბაზი, ლექსი აკაკისა.—მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება (დასასრული); ნ. ჟორდანიასი.—არაგვისპირელს, ლექსი აკაკისა.—ქრიტიკა ვ—ჭ—ი.—ბაში-აჩუკი (გაგრძელება) აკაკისა.—გმირი, ლექსი ი. ევდოშვილისა.—ნუშო (შემდეგი) ვ. ბარნოვისა.—სახუმარო გასართობი და ქუთაისის მიწაილის ბანკის განცხადება.

## კვირის ფარანი.

„ბოდიში, ან საბუთიო!“—ფარისევლურათ კი არა (როგორც ზოგიერთებს ჩვეია),—სამართლიანი გულის წყრომით შეუძლია მოამძახოს მკითხველმა და მეც, მეტი რა ღონეა, უნდა წარვადგინო ერთიც და მეორეც. მაშ, ბოდიში ბოდიშათ და რაც შეეხება საბუთს—აი, რაგვარია: ჩვენი ფარნის აუნთებლობის მიზეზი ამ ორი კვირის განმავლობაში სიზარმაცე კი არა,—უნებლიეთი მოგზაურობა გახლდათ იმერეთში. იმან მომაშორა მკითხველს, მან ჩამიქრო ფარანი და, დეე! მანვე მომცეს მასალა საუბრისათვის.

მოგზაურობაო რომ ვთქვი, ეს ცოტა გადამეტებაა, თუ არ შეცდომა. მოგზაურობას გზაც უწერია, როგორც მოგეხსენებათ, და მე კი „მიეედინებოდი“ („იეერიის ლექსიკონია, ნურას უკაცრავათ!) იმ გვარ ალაგებით და იმგვარათ, რომ გზებს გარდა იქ ყოველიფერი იყო. მართლა და, ძნელი წარმოსადგენია, რას დამსგავსებია ამიერ-კავკასიის რკინის გზა. ბევრი მიკითხავს და ბევრი გამიგონია ამ უკანასკნელ დროს მის უბედურებაზე, ბევრი შესაზარი სურათიც წარმომიდგენია თვალ წინ ამ ნაკითხის და ნაამბობის წყალობით, ბევრი გაუსწორებიათ და შეუკეთებიათ წარღვნას შემდეგ, მაგრამ რაც არის, ისიც საკმაოა. რასაკვირველია, ახლა ვერ ნახავთ ჰაერში დაკიდებულ რელსებს, ჩანგრეულ ხიდებს, ღვთის ანაბარათ მიტოვებულ მგზავრებს, მაგრამ არც უმისობაა. ნამდვილი ხიდების მაგიერ ესრეთ წოდებული დროებითი ხიდებია, რომელზედაც ხან გაგატარებენ, ხან არა, საფუძვლიანი და რიგიანი ლიანდაგის წილ—რაღაც გოჭიალა, რომელიც დღეს არის და ხვალ კი ღმერთმა იცის, სად იქნება. ხოლო რაც შეეხება მგზავრებს...

— იცი, რას დავძვრები აქეთ-იქით? - მეკითხებოდა თბილისის სადგურზე ერთი ქუთათური ნაცნობი. შენ, ძმაო, გამოუცდელი ხარ და მე კი ჭკუა მასწავლა ამ ზამთარმა. თუ თავი არ „დავისტრახე“, ისე რომ მომკლა, მაინც არ ვენდობი ჩვენ რკინის გზას. რისთვის, ჩემო კარგო, ეის რა ჭირი მოვპარე:

ერთი რომ მამა ჩემი შვილს მეძახის, მეორე — მეც ცხოვრება მინდა და მესამე — ვინ უნდა გასცეს პასუხი ჩემ ცოლ-შვილს?!..

და დასამტკიცებლათ, რომ მასაც „ცხოვრება უნდა", წინ-დახედულმა ნაცნობმა დიდის ამბით მაჩვენა „პოლისი".

რასაკვირველია, მე სასაცილოთ ავიგდე, „მშიშარა" იმერელი, მაგრამ, როგორც მერმე დავრწმუნდი, ეს შიში პრაკტიკული შორს-გაჭვრეტა იყო მისი მხრით. მართლა და, რა იმედი უნდა ჰქონდეს კაცს იმ გზის, რომლის ლიანდაგი ისე შემოჭმულია წყლისაგან, რომ მიდიხარ და მდინარეზე დაკიდებული გგონია შენი თავი, იმ ლიანდაგის, რომელიც ალაგ-ალაგ დამსკდარია ისე, რომ როდის ჩამოინგრევა, არ იცი... რა იმედი უნდა ჰქონდეს, ვამბობ, იმ ხიდების, რომელთაც მიუახლოვდებით თუ არა, მგზავრები ეხვეწებიან კანდუქტორს, გააჩერე მატარებელი, ჯერ ჩვენ გავიდეთ და მერე თქვენ გამოგვყევით უკანო.

— თქვე დალოცვილებო, რის გეშინიათ? — ემუდარებოდა ჩემთან ობერ-კანდუქტორი მგზავრებს, თუ დასაქცევია ეს დასაქცევი აჯამეთის ხიდი, ინჟენერი იქ დაგვხვდება და არ გაგვიშვებს. თუ ნება დაგვრთო და გაგვიშვა, მაშინ ხიდიც საიმედო ყოფილა და შიშიც არაფრისაა.

— ეს, რასაკვირველია, ასეა და შენც ჭკვიანი ყოფილხარ, ასე დალაგებით რომ ლაპარაკობ, — მიუგო ერთმა ცბიერმა იმერელმა, მაგრამ სულ ერთი კვირაა, რაც მე ამგვარ ამბავს დავესწარი. მატარებელი ქე გაუშვეს ხიდზე და ის ბატონი, ინჟენერია, თუ რაღაც, წითელი კოჭი, არხეინათ ჩამოხდა ვაგონიდან და ნაპირზე უცდიდა, — რა გამოვა რისაგანო? შენი ფიქრით მე სხვის სათვალსეიროთ ყვირილაში უნდა ვიყურყუმალო ამ სიცივეში, თუ როგორაა შენი საქმე?

ლიანდაგი და ხიდები ხომ ამგვარია, სხვა შედეგი შემოდგომის წყალ-დიდობისა ისევ ისე რჩება, რაც იყო. შორაპნის სადგური სანახევროთ დანგრეულია და ახლაც წყალში დგას; დ. ყვირილაში ოციოდე დუქანი გამოსალმებია წუთის-სოფელს და, სადაც ძლევა-მოსილი ზემოური აზნაურობა სადღეგრძელოებს სვამდა და „მრავალ ჟამიერს" გაიძახოდა, დღეს შფოთიანი და მღვრიე ტალღები ეხეთქებიან ერთი-მეორეს. ხიდი, ის სახელოვანი ყვირილის ხიდი, რომლითაც ასე თავი მოჰქონდათ ზემოურებს, შუაში გაწყვეტილა, თითქოს ვიღაც ზღაპრული გმირის მახვილისაგან, და ობლათ გამოიყურება შორიდან. ორ ნაპირთა შორის მიმოსვლა დამოკიდებულია ბორომზე, რომელიც ხან მუშაობს, ხან მიემგზავ-

ხელებს გამცლელ-გამომცლელთ. საოცარია ჟამთა ვითარება, — დეკანოზს ლამბაშიძეს განუზრახავს ახალი ხიდის გაკეთება და კიდეც აკეთებს მოგროვილ ფულით — აკეთებს, რასაკვირველია, „ჩვენებურათა, ძველებურათა", — მაგრამ მაინც აკეთებს.

— „სანამ პეტრე მოვიდა, პავლეს ტყავი გააძვრესო", სანამ ინჟინრების ხიდს ველირსებით, დეკანოზისაგან ნაბოძები ტყავითაც დავკმაყოფილდებითო, — ფილოსოფიურათ სჯიან ყვირილელები..

— ასე არის ახლა ჩვენში — მებაასებოდა გზაში ერთი აზნაური — ძაღლი პატრონს ვერ ცნობილობს, დეკანოზი ინჟენერობს და ინჟენერები დეკანოზობენ. რაც იმათ წელს წესი აუგეს, ზოგმა „მოგზაურთა", ზოგმა „მაშვრალთა" და ყველამ კი სახელმწიფო ფულებს — კაცი ვერ მოთვლის. თქვენ რომ წერდით, მეგაზეთეები, „მუშაობა გაცხარებით მიდის", „ორი ათასი კაცი თავ-მოძულებით ებრძვის სტიქიონსო" და სხვა ამგვარ სისულელეებს, ჩვენ აქ მო- მორეულები, სიცილით ვსკდებოდით. მართალია ებრძოდენ, მაგრამ ზოგი ღვინოს, ზოგი არაყს და ყველანი კი საცოდავ მუშებს... რას უშვრებოდენ [illegible] როგორ აწვალებდენ ამ საბრალოებს. — ენა ვერ მოთვლის. ინჟენერები და მათი თავდგმურები ცულიკაურს ეძალებოდენ, როცა ისინი ოფლში [illegible]რებოდენ, შიმშილით დნებოდენ და ბოლოს... [illegible]ლა ამოვლებული მიეშურებოდენ თავიანთ სახლ[illegible] აი, ახლაც, თუ გნებავსთ, მიბრძანდით მოლიან[illegible] ნახავთ, როგორია კაცთა პატიოსნება..

მე, რასაკვირველია არ წავედი მოლითს, [illegible] თვის რომ უკვე ვიყავი და კიდეც ვნახე არ სანახავი... ეს გახლდათ იმ საშინელ უბედურების შემდეგ, რომელმაც იმსხვერპლა საქონლის მატარებელი და მასთან საწყალი მაშინისტის თანაშემწე. უკანასკნელი მოენახათ გადავარდნილი და დამარხული მატარებელს ქვეშ, მაგრამ მისი იქიდან გამომტანი კაცი არ იყო.

— ჩვენ რა თავი ვიხეთქოთ, — ამბობენ მუშები, — ჯერ ის მოგვცენ, რაც გვერგება და [illegible] გვამუშაონ კვლავ. მკვდარი ვის არ ებრალება, [illegible] რამ ცოცხლები კიდევ უფრო შესაბრალისნი ვართ, ჩვენი თავი ვერ გვიტირია, სხვას რას დავეძებთო!..

[illegible] დიახ! აწმყო ცუდია, ჩვენი რკინის გზის, თუმცა მომავალი კიდევ უფრო აშინებს იმერლებს. [illegible] დაგვპირდებაო — ამბობენ ისინი — რომ შემდეგ [illegible]ს განსაცდელი არ დაგვატყდება თავსაო. ხიდი[illegible]ლა და ყვირილა ისევ ისე გიჟებათ რჩებიან, როგორც იყვნენ, და მათი ამლაგმავი და დამშოშმინებელი კი არსად ჩანს. რაც დღეს იყო, კვლავაც [illegible]ნება და ვინ იცის, რა მოგველის დაბოლოს.

ნა—ჯავრიანობდა ერთი ქუთაისელი. რა კარგი წყალი იყო და, რა იმედებს იძლეოდა და როგორ გაგვიცრუა მოლოდინი! მაგას რომ ის დიდი ხიდი წაელო რიონის სადგურთან, დღეს ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. მეტი რა გზა ჰქონდათ მაშინ, რკინის გზას ქუთაისზე გამოატარებდენ და არც გზა მოიშლებოდა და ჩვენც მოგებაში ვიქნებოდით. თორემ იმგვარ უმნიშვნელო წყლებმა, როგორც ყვირილა და ჩხირიმელაა ისახელეს თავი და „ეს ფაზისი თავ-მომწონე“ კი დგას და ხმასაც არ იღებს. რა ჰქნას ერთმა ლოლუამ, თუ დამხმარე არა ჰყავს?..

— როგორ? . ჰკუას და მოსაზრებასაც დამხმარე უნდა?—ვკითხე მე.

— იმე! ნეტაი ეს არ გეთქვა და ჯარიმა გადაგეხდევინებინა!—მომიგო მან. შე დალოცვილო, ჩვენს დროში ჰკუას ვინ ჰკითხავს, ან რის მაქნისია? მთელი ქვეყნის ჰკუა რომ დადვა სასწორზე, ერთი კარგი მოსაკითხი დაძლევს, „გააპუსტიაკებს“.. შენ გგონია, ჩვენ სულ თოვლს და წვიმას ვადევნებთ თვალს,—არა, ბევრი „ზაკუსკით“ და „შამპანსკით“ სავსე ვაგონებიც ენახეთ, რომელნიც დასეირნობდენ ლიანდაგზე. ახლა რაც ვაგონებში არ იყო და „ხელის-ხელ საგოგმანებლათ“ დარჩა, — ეს სულ სხვაა... ჰე, რაღა ერთი მოგიყვე! თევზმა თქვა: „სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირი სავსე მაქვს წყლითაო!..“

ცრუობდა თუ არა ჩემი მოსაუბრე, ერთი კი მართალია, რომ ქუთაისი და მისი ბედი უფრო საყურადღებოა, ვინემ ფიქრობენ. უქუთაისოთ არაფერი არ გაკეთდება და სულ ფუჭათ ჩაივლის, რაც იხარჯება და უნდა დაიხარჯოს. რა მხრითაც უნდა განსაჯოთ, ვისი ინტერესიც უნდა აიღოთ მხედველობაში, ამ ჭეშმარიტებას გვერდს ვერ აუვლით. მართებლობა გინდათ, მცხოვრებლები, თუ თვითონ რკინის გზა,—ყველა მოგებული დარჩება, თუ რომ რკინის გზა გამოცვლის მიმართულებას, გაივლის ქუთაისზე და იმ ადგილებზე, რომელზედაც უთითებენ მკვიდრნი. ეს რომ ასეა, ამას, სხვათა შორის, საფუძვლიანათ ამტკიცებს ქუთაისის საბჭოს „მოხსენება“, რომლის შინაარსს, აგრეთვე როგორც ქუთათურების იმედებს, განმარტებით გავაცნობ მკითხველს ამ ცოტა ხანში.

ჯვიმსტი.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

სოფ. წესიდან (რაჭის მაზრა) გვწერენ შემდეგ ამბავს: ჯერ გამუდმებულმა წვიმებმა და მერე დიდმა თოვლიანობამ სოფელ წესზედაც იქონია თავისი გავლენა სხვა მრავალ სოფლებთან. არც ეს სოფელი დატოვა გაუნადგურებელი. ამ ერთ კვირაში აქ დიდათ სამწუხარო და საგოდებელი ამბავი მოხდა. ერთ ფერდოზე სამოცამდე გლეხი იყო დასახლებული, გვარათ: მაისაშვილები, კობერიძეები ნატბელაძეები, გოგობერიშვილები და კერესელიძეები. ის ადგილი, რომელზედაც ეს გლეხები ცხოვრებდენ თავის საყანე-ვენახებით იქმნებოდა სიგძით ორი ვერსი და სიგანით ვერს-ნახევარი. ეს ამოდენი ადგილი სულ მთლათ დაიძრა მეწყრისგან, აირ-დაირია, ჩავარდა მიწაში სახლები, სასიმინდეები სიმინდით, ბეღლები ნამუშევარით სავსენი, დაამტვრია ქურები ღვინით სავსენი. ერთი სიტყვით, ამაზე საზარელ უბედურებას რაჭის მაზრაში კაცი არ მოსწრებია. მეწყერი რაჭაში თუმცა ხშირათ ყოფილა, მაგრამ ამისთანა მეწყერი ჯერ არავის ახსოვს. სოფელში გაისმის ერთი წივილ-კივილი: ვინ აკვანს მიარბენინებს, ვინ ბავშს იკიდებს ზურგზე, ეგება ცოცხალი თავი მაინც გადაირჩინონ ამ საშინელი უბედურებიდან. ერთი აგერ იძახის: არიქა, ვინ ხარ მამაცი, მიშველეთ. ქური გამიტყდა და ღვინო მეღვრება. მეორე აგერ იძახის: „არიქა, მიშველეთ! ბეღელი დამენგრა და დამელუპა ნამუშევარიო“. არის ერთი ალიაქოთი. მაგრამ მშველელი ვინ არის? ყველას უბედურობა აწუხებს. ზოგიერთი გლეხი, მცქერალი იმ გამოუთქმელი უბედურებისა, გაშტერებულა და თავის-თავის შველის მაგიერათ, ხელ-გულ დაკრეფილი ცოლ-შვილით დატირის თავის ნაშრომ-ნალვაწს და სიმწრით აშენებულ სახლ-კარს მიწაში შთანთქმულს. ამის მნახველს სწორეთ ქვის გული უნდა ჰქონდეს, რომ, რაც შეიძლება, თანაგრძნობა და დახმარება არ აღმოუჩინოს შეძლებისა-და გვარათ. ჩემ უსწავლელ და სუსტ კალამს ამ უბედური შემთხვევის აწერა არ შეუძლია. ზარალი თუმცა გამოანგარიშებული არ არის, მაგრამ, ვგონებ, ასი ათასი მანეთისა მეტი იყვეს. კიდევ კარგი, რომ ეს უბედურება უმეტესათ დღისით ხდება, თორემ ხალხი დაილუპებოდა და მოჰყვებოდა მიწაში, ასე რომ კაცი ჯერ-ჯერობით არ უმსხვერპლია. სხვათა შორის მეტი ზარალი სხვებზე მოუვიდა ზურაბ ნიკოლოზის ძეს მაისაშვილს. მარტო ამის ზარალი იქმნება 40,000 მან. წესის ფოშტა დაიქცა დღეს 9 აპრილს, ვგონებ, ამ ორ დღეში მთლათ მოისპოს საფოსტო

გზა ას ორმოც საჟენის სიგძეზე, და თუ მთელათ ეს დიდი გორა რიონში ჩაწვა, იმ შემთხვევაში კიდევ უფრო დიდი უბედურება დატრიალდება წელში: რიონი გაიბუგება და მთლათ სოფელს წალეკავს. ხალხი დიდ შიშშია ამის მიზეზით.

ჩვენ გავიგეთ, რომ წლევანდელი უბედურებიდან დაზარალებულთ სასარგებლოთ გროვდება სხვადასხვა ადგილს შეწირულებანი; ამიტომ, იმედი გვაქვს, რომ აქაურ გაჭირვებულთაც მოაწვდიან რამეს. აგრეთვე ყოველი პირი, ვინც არ დაიშურებს ამ უბედურებისათვის ფულით, თუ სხვა რამეთი შემწეობას და კეთილს ინებებს შეწირობის გამოგზავნას, ეთხოვთ, გამოგზავნონ შემდეგი ადრესით: **М. Они, Ивану Парсадановичу Чичинадзе, жит. селен. Цеси.**

ვანო ჩიჩინაძე.

⁂

ლეჩხუმიდან გვწერენ: წლევანდელი უბედურების შესახებ საქართველოს ყველა ადგილებიდან შეეხვედებით რამე ამბავს; რაც შეეხება ლეჩხუმს, ამაზე გაზეთებში ხსენებაც არ არის. რით აიხსნება ეს? ნუ თუ იმით, რომ წლევანდელი აღშფოთებული სტიქიონი ჩვენი კუთხე დაევიწყებიოს? ეს სასტიკი შეცდომაა. ჯერ ჩვეულებრივი ზამთრის დროსაც აქ დიდი თოვლობა და ზამთრობა იცის; მარა წელს კი ამას საზღვარი აღარ ჰქონდა. ჯერ არავის არ მოუყვანია ცნობაში, თუ რამდენი კაცი იმსხვერპლა დიდ თოვლობამ მაგრამ 60 კაცზე მეტი მაინც იქნება. ისეთაც გალატაკებული და დაჩაგრული აქაური მკვიდრნი, უმეტესათ გლეხობა, დღეს უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფებიან. საჭიროა, რომ ეს კუთხეც არ დაივიწყონ დაზიანებულთათვის დაარსებულ კომიტეტმა.

⁂

ამ დღეებში რედაქციას მოუვიდა შემდეგი გამოცემანი: 1) „ცივილიზაციის ისტორია ინგლისში, ბოკლის სურაით. ადვილ-გასაგები ენით გადმოღებული გრიგოლ სოლოღაშვილის მიერ“, გვ. 165, ფ. 50 კ. და 2, ხტუნია ციყეუნია ი. გომართელის მიერ, გვ. 29, ფ. 20 კ. ეს წიგნები გამოცემულია ბ. ი. როსტომაშვილის მიერ. მიუთითებთ ჩვენ მკითხველებს პირველ წიგნზე, ე. ი. ცივილ. ისტორიაზე ინგლისში. ეს მაღალი გონების ერთი უშესანიშნავესი ნაყოფი საკმარისათ გასაგები ენით გადმოუღია ბ. სოლოღაშვილს. 3, „კალმასობა“ იოანე ბატონიშვილის მიერ, ბ. ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, დ. ბაქრაძის საინტერესო წინასიტყვაობით. ეს წიგნიც [illegible] ინტერესოა სხვათა შორის ჩვენი ცხოვრების [illegible] ჩვეულებათა შესასწავლათ გასულ საუკუნეში; ღირს 1 მანეთი.

---

## საყურადღებო ამბები.

ქიზიყი. სწავლა-განათლების მხრივ ქიზიყელები ძლიერ უკანა ვართ ჩამორჩენილი, ამისათვის უბრალო წერა-კითხვის შკოლის გახსნასაც დიდი მნიშვნელობა აქვს აქაურ მკვიდრთათვის. ახლა კი მალე სოფელ ქვემო-მაჩხაანში სასოფლო—სამეურნეო შკოლის დაარსებას ველირსებით. მთავრობას განზრახული აქვს, რომ ამგვარი შკოლა დაარსოს სიღნაღის მაზრის ერთ-ერთ სოფელში, თუ ადგილობრივი მკვიდრნი რაიმე ხარჯს გაიღებენ ამ შკოლის შესანახავათ. ქიზიყელებიც ქვემო-მაჩხაანის, ზემო-მაჩხაანის, მირზაანისა და ჯუგაანის სოფლების მცხოვრებნი დიდი სიხარულით მიეგებნენ მთავრობის წინადადებას და განაჩენებიც დაადგინეს შკოლის დაარსებაზე. ამ სასწავლებლის შესანახავათ საზოგადოება პირველ ხნობით კომლზე მანეთ-ნახევარს შეწირვას კისრულობს, შემდეგ წლებში კი თოთხმეტ შაურს. ეს ფული სახელმწიფო ხარჯთან აიკრიფება. მთავრობა სხვა შემწეობასთან, ამ სასწავლებელს საკმაო სახნავ-სათეს მიწასაც მიუზომავს. რაც შეეხება შეგირდების რიცხვს, პირველში ოც-და-ათ შეგირდს მიიღებენ, ამათგან თხუთმეტი თითონ სასწავლებელში იცხოვრებს, დანარჩენი თხუთმეტი გარედან მოსიარულე იქნება მისაღებ შეგირდების ასარჩევათ ადგილობრივ მცხოვრებთა საპატიო პირთაგან კომისია იქნება შემდგარი, მაზრის უფროსის თავმჯდომარეობით. შემდეგ, როდესაც ეს სასწავლებელი მკვიდრ ნიადაგზე დადგება და გააფართოვებს თავის მოქმედებას, შეიძლება შეგირდების რიცხვსაც მომატოს და ადგილობრივ მკვიდრთა დახმარებაც საჭირო აღარ დარჩეს.

იმედია, ეს საქმე მალე განხორციელდება, რადგანაც ადგილობრივი მაზრის უფროსი გულით არის მოწადინებული, რომ ეს სისრულეში მოიყვანოს.

კმა.

⁂

დ. ყვირილიდან გვწერენ: აქაურ ვაჭრებს არ [illegible] აჩნიათ არც კვირა დღე და არც სხვა რაიმე დღ[illegible]

სასწაული: უქმე დღეებშიაც ისე ეაჭრობენ, როგორც უბრალო დღეს. ამით უმეტესათ იჩაგრებიან ნოქრები და მაღაზიებში მცირე წლოვანი მოსამსახურე ბავშები. ამიტომ საჭიროა, რომ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ, რომ კვირა დღეს მაღაზიები და სხვა დუქნები მხოლოთ ნაშუადღევს იღებოდეს.

ტ. ვარძიელი.

***

დ. საჩხერიდან დ. ჭიათურაში მისავალი გზა მდინ. ჯრუჭულით იყოფა ორ ნაწილათ. წლევანდელ წყალ-დიდობამდის ამ მდინარეზე იყო გვარიანი გასასვლელი ხიდი, რომელიც დღეს ისეა დაზიანებული, რომ მასზე გასვლა შეუძლებელია და სულ ხელ-ახალ გადაკეთებას თხოულობს. ამ მიზეზის გამო საზოგადოება განსაცდელის და ფათერაკის ასაშორებლათ იძულებული შეიქმნა, რამდენსამე ხანს დროებითი ხიდი მოეწყო, რომელიც ... [cut] ... დარსად დანძრეულიყო. მაგრამ ამ გარემოებამ ორი ადამიანი მაინც იმსხვერპლა ამ დღეებში. სოფ. ცხამში დაირჩო ერთი დედა-კაცი და ერთიც ოცი წლის მაწვილი კაცი, რომლებიც დროებითი ხიდიდან გადაცვინდენ წყალში. ეს დროებითი ხიდი! სწორეთ საფათერაკოთ არის იგი გაკეთებული.

ჩვენი დ. საჩხერე და მის გარშემო სოფლები ამ ჟამათ იმყოფებიან უკიდურეს მდგომარეობაში, რადგანაც არც ერთ შესაფერ ალაგზე ხიდები არა აქვთ. ამ გარემოებას არც ადგილობრივი მთავრობა აქცევს ჯერ-ჯერობით ჯეროვან ყურადღებას. საჭიროა, რაც შეიძლება ადრე მიაქციონ ყურადღება ამ გარემოებას, ვისგანაც ჯერ არს.

ნესტორ ქვარიანი.

## მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი.

ვუ! ჩემსვარსკვლავს და ჩემს ბედის-წერასა:
ცოვ-ნაცარში მიმატყუშა კერასა!
რაც მებადა გაატანა, ურჯულოთ
შემოსეულ, ჩხიკვს, ყვავსა და მერასა!

—

რას მერჩოდა? ვის რა ვირი მოვკვლარე,
რომ საკანათ გამიხადა ეს მხარე,
სადაც სისხლი დავანთხიე სარწყავათ
და ცრემლებიც თან ჩავურთე მდუღარე?

—

ცალი ხელით გვარს და რჯულს ვივარავდი,
მეორეთი—ვთოხნიდი და ვბარავდი!..
სისხლის ოფლში ვაიწურე... ვავკავდი,
ვავფოლადდი ცეცხლში!.. დავკვამტარავდი!

—

დავჩიავდი!.. ნალევი ვარ ვვერცხივით.
მზე ვერ მწვდება ჯერ ვერც შუქით ვერც სხივით.
და თუ დამწვდა... ჩამოშქვრიტა სარკმელში,
ვიბრწყვიალებ ერთხელ კიდევ ვერცხლივით!

—

მაგრამ ჯერ კი, ფუ, ჩემს ბედის წერასა,
სანამ ასე მიგრული ვარ კერასა!..
შხამ-ნაღველი და ძიმწარე ჩემ კალამს!
და ცრემლება ამ ჩემ შემკრთალ წერასა!..

აკაკი.

# მესამოცე წლების მოღვაწენი
# და
# დღევანდელი ცხოვრება.

(თ. რ. ერისთავის იუბილეს გამო.)

(დასასრული *)

## IX

უკანასკნელ თავში ჩვენ გავარკვიეთ თავადაზნაურთ და ბურჟუაზიას შორის არსებული წინაალმდეგობა. ბურჟუაზია, დღეს ქვედა საფეხურზე მდგომი, მიილტვის ზევით, რომ იქ მდგომი კეთილ-შობილნი ძირს ჩამოარეკოს და თვითონ გამაგრდეს [1]. ეს მას არ შეუძლია ისე, თუ მთელი ჩვენი ცხოვრება არ გადაატრიალა და, აი, ის პირდაპირ ამ გზისაკენ მიექანება. მიზნის მისახწევათ იძულებულია განავითაროს ერის შრომა, გააჩაღოს მო-

*) იხ. „კვალი", № 17.

[1] რა სახით მოხდება ეს? თავად-აზნაურობა, რასაკვირველია, მემამულე-შეძლებული, ნელ-ნელა გაბურჟუაზდება ისე, როგორც ინგლისში, თუ ერთბაშათ დაილეწება ისე, როგორც საფრანგეთში? ამის გადაჭრა შეუძლებელია, ჩვენ საკუთარი პოლიტიკური ცხოვრება არა გვაქვს... აუცილებელია ის, რომ ბურჟუაზია გამარჯვებული გამოვიდეს, ხოლო რანაირი ფორმით—ამას მომავალი გვიჩვენებს. ამისთვის ცხოვრების გარკვევაა საჭირო.

ქალაქეობა, შეეცილოს უცხო ტომის მეტოქეთ და მთელ წარმოებას თვითონ დაეპატრონოს, მოსპოს ძველებური იარაღებით მუშაობა, გააუქმოს ფეოდალური მიწათ-მფლობელობა, დაკიკნოს საკუთრება, რომ მერე თავის ხელში მოიგროვოს, გამოიყვანოს სოფელი, ხეობა კარჩაკეტილობიდან, გააცნოს ფულის გემო, დაურღვიოს მამა-პაპური საფუძველი და გაუკეთოს ახალი, ევროპიული. ერთი სიტყვით, მან უნდა შექმნას ისეთი კალაპოტი, სადაც თავისუფლათ იმოძრავებს და ცხოვრების თავი და ბოლო თვითონ შეიქმნება.

რამდენათ ის ამ დანიშნულებას ასრულებს, იმდენათ ის პროგრესიულია, იმდენათ ეროვნულ და სოციალურ წარმატებას ემსახურება.

მაგრამ ერთი ვიკითხოთ: ვის ზურგზე უნდა გაკეთდეს ყველა ეს? ვისი ჯაფაა საჭირო, ვისი ოფლია ჩასაღვრელი? ვისი ხელებია გასანძრევი, ვისი ძარღვებია ასამუშავებელი? საკუთარი ბურჟუაზიის? საიდან შოულობს ის ფულს? როგორ მდიდრდება? ფული რომ ზეციდან ცვიოდეს, ყველა ფულიანი იქნებოდა, მხოლოთ საკუთარი შრომით გამდიდრება რომ შეიძლებოდეს, დღიური მუშა ყველაზე უფრო გამდიდრდებოდა. ცხადია, თუ ბურჟუაზია მდიდრდება, საიდგანმე სხვის შრომას აძერენს, სხვის ქონებას იჩემებს, სხვის სარჩოს ისაკუთრებს. ერთი სიტყვით, ის უარჰყოფს სხვის საკუთრებას, რომ თავისი განამტკიცოს. აეხსნათ.

დღეს ჩვენში ეკონომიური ნიადაგი ძლიერ მოძრავია, ის მუდამ დუღილში და რყევაშია. ნივთიერი პირობები ჯერ ვერ ჩაეარდნილან განსაზღვრულ კალაპოტში; ამისთვის შეძლების შეძენა თუ დაკარგვა საშინელ ადვილათ ხდება. ეს, ასე ვთქვათ, შოწის ხანაა. გლეხი ფიქრობს მემამულეთ გახდეს, მუშა კი სოვდაგრათ. ერთიდან მეორეში გადასვლა ხშირია. ეს დრო კლასთა ფორმაციის (შედგენის) დროა. მთელი ერი ერთმანეთში ითქვიფება, რომ ბოლოს ისევ დანაწილდეს. ევროპაში ეს გასულ საუკუნეებში ხდებოდა. საფრანგეთის დიდი რევოლუცია მოახდინა ეგრეთ-წოდებულ tiers état--მესამე წოდებამ. ვინ იყო ეს? ვანა მარტო ბურჟუაზია? არა, ეს იყო ყველა, გარდა მაღალი თავად-აზნაურობისა, ე. ი. მთელი ხალხი. ამ ერთ სახელწოდებაში მოთავსდა მექარხნე, მოვაჭრე, მუშა, ხელოსანი, გლეხი, წვრილი (სოფლის) სამღვდელოება და სხ. აშკარაა, კლასიური წინააღმდეგობა თვითონ მესამე წოდებაში არ იყო განვითარებული. თითოეული დარწმუნებული იყო, თუ ფეოდალური შევიწროება მოგვშორდება, ჩინებულათ ვიცხოვრებთო. ამის მიზეზი ის არის, რომ ეკონომიური წარმატება მაღალ საფეხურზე არ იდგა. მაშინ არ არსებობდა რკინის გზა, ტელეგრაფ-ტელეფონი, ორთქლის და ელექტრონის სამუშაო მანქანები, არც ერთი ის იარაღი, რომელიც შემდეგ ცხოვრებას საფუძვლათ დაედვა. ამიტომ შრომა საკმარისათ ვერ განვითარდა, მუშასა და კაპიტალისტს შორის განხეთქილება ვერ გამოაშკარავდა. (შემთხვევითი მოვლენა, რასაკვირველია, სახეში მისაღები არ არის). რა ნაირათ არის ეს ჩვენში?

ჩვენ, როგორც უკან-ჩამორჩენილი, კომიკურ მდგომარეობაში ვართ. ცალი ფეხი დღევანდელ ევროპაში ჩაგვიდგამს, ცალი კი წარსულში გვიდგა. ვსარგებლობთ ყველა იმ იარაღებით, რომელნიც კი დღეს ევროპაშია, ხოლო ცხოვრების პროცესი ისეთია, როგორც გასულ საუკუნის ევროპაში იყო. აი, ეს დიდათ საყურადღებო საგანია, მხოლოთ ეს გარემოება აძლევს განსაკუთრებით ელფერს მთელ ჩვენ აწმყოს და მომავალს. აქ ჩვენ ერთი უპირატესობა გვაქვს. ის, რაც ევროპაში დიდი ხნის განმავლობაში იცვლებოდა, ჩვენში ახალი იარაღების წყალობით მოკლე დროში იცვლება; ამისათვის, წინააღმდეგობა აზნაურს და ბურჟუას შორის ჩქარა განვითარდა, ამავე მიზეზით ჩქარა ვითარდება წინააღმდეგობა ბურჟუასა და მუშას შორის. მართალია, ჩვენში ჯერ არ შემდგარა იმ სახის მუშა-ხალხი, როგორც ეს ევროპაშია, მაგრამ ეს განა ამტკიცებს ექსპლოატაციის, მუშის შრომით გამდიდრების, არ არსებობას? გლეხი-მესაკუთრე რომ საქირაოთ წავიდეს, განა მისი და დაქირავებლის ინტერესი ერთი იქნება? პირ-იქით, მესაკუთრე-მუშა უფრო ადვილათ იყვლიფება, ვინემ მუშა-პროლეტარი. პირველი ჯერდება ცოტა ქირასაც, იმ იმედით, რომ ოჯახში კიდევ მაქვს რაღაცაო, მეორეს კი შინ არაფერი მიეგულება და მეტ ქირას თხოულობს და კაპიტალისტი იძულებული მიცეს. იქ, სადაც ორივე ტიპის მუშა ერთმანეთს ეცილება, ყოველთვის უკანასკნელია დამარცხებული. ევროპაში დღეს ეს აღარ არის. აქაურ მუშა-ხალხს საკუთრება არ აქვს და მეტოქეობაც მათ შორის ირ-პობა. მის ალაგას ერთ-პირიანობა, ერთ-აზროვნება და ერთსულობა დგება. პატრონმა ერთ მუშას რომ უწესოთ მოეპყრას, ყველა მუშაობაზე ხელს იღებს, ესენი ერთათ იბრძვიან. თანხმობითი მოქმედება განსაცვიფრებელ ხარისხამდია მიყვანილი. ჩვენში არც ერთი ეს არ არის. ჩვენებურ მუშას როგორც სურთ, ისე ამუშავებენ, ქირის მიცემა, სამუშაო დღის გაგრძელება, გაგდება, სამუშაოს არ მიცემა და სხვა ამნაირი პატრონის თვით-ნებობისაგან არის დამოკიდებული. ევროპაში ერთი რომელიმე ამათგანი რომ მოხდეს, არა თუ მუშა-ხალხს, მთავრობასაც კი შეაძრენ, პარლამენტშიაც კი ილაპარაკებენ, ყრილო-

ბებსაც მოახდენენ, მწერლობა ხომ ერთ ალიაქოთს ატეხს. ცხადია, ქართველი მუშა გაცილებით უფრო იყვლიფება, ვინემ მისი მოძმე ევროპელი. მაშასადამე, მყვლეფავთა და გამყვლეფელთა შორის წინააღმდეგობა არსებობს და თუ ეს შეგნებული არ არის, ამის მიზეზი სხვაა..

ქართველი ბურჟუას ფულის წყარო ქართველი მუშაა [2]). რამდენათ ეს თავის ძალ-ღონისაგან იცლება, იმდენათ ის მდიდრდება და სქელდება. მართალია, ის ცვლის ცხოვრებას, მარა ეს ხდება მუშის შემწეობით, მუშის ნაშრომით და მონაგარით, მუშის ოფლით და ძალ-ღონით. მთელი დღევანდელი ცივილიზაცია მუშათა მეოხებით შეიქმნა, ხოლო სარგებლობა ბურჟუაზიას ერგო. საქართველოს წარმატება, გაერთიანება, უცხო ტომთა დამარცხება, კულტურული ზრდა წარმოებს ქართველი მუშის ზურგით, ხოლო სახრავი და სახელი მის ბატონ ბურჟუაზიას რჩება.

დღეს ჩვენ ყველა ის ეკონომიური არეულობა ვიცით, რომელიც ევროპაში მხოლოთ ამ საუკუნეში გაჩნდა. ამის უპირველესი ნიშანი კრიზისია. თუ ერთ წელიწადს უფრო მეტი საქონელი იქმნა ბაზარზე გატანილი, ვინემ იქ მოთხოვნილებაა, ცხადია, ყველა ვერ გაიყიდება და რამდენიმე ნაწილი სამერმისოთ გადაიდება. ამიტომ მეორე წელიწადს კაპიტალისტი ამცირებს წარმოებას, რომ ჯერ დამუშავებული მოიშოროს. თუ ბაზარზედაც კრიზისია, მაშინ მთელ წარმოებას დროებით აჩერებს. აი, ამას უწოდებენ წარმოებაში კრიზისს. პირველი კრიზისი ევროპაში მოხდა 1825 წ. (ინგლისში), მაშასადამე, მაშინ, როცა კაპიტალისტური წარმოება აღორძინებული და აყვავებული იყო. ჩვენ კაპიტალიზმთან ერთად კრიზის ხანაშიაც ჩავდექით. კრიზისი ხშირია არა თუ ნავთის, ქვაგუნდის და სხვა ამ გვარ წარმოებაში, არამედ მეურნეობაშიაც, განსაკუთრებით იმ დარგში, რომელიც მსოფლიო ბაზარზე მიდის" (მაგ. სიმინდი). ვინ არის მსხვერპლი ასეთი ცვლილებისა? პირველათ თვითონ პატრონი, მარა ის როგორც შეძლებული ადვილათ იტანს, ვინემ ის, ვისის ხელითაც ეს შეძლება შექმნა. აქ პირველი მსხვერპლი მუშა-ხალხია. წარმოების გაჩერების დროს სამუშაოსაც ველარ შოულობს. (მეურნე კი მოვაჭრის ბრჭყალებში ვარდება.) ამით ეს ევროპიულ პირობებში იქცევა, რომელმაც მისი გონებაც უნდა გაევროპიელოს. მას შემთხვევა უჩნდება შეიგნოს, რომ ასეთი არეულობა ღვიძლი შვილია კაპიტალისტური წარმოების, რომლის წინაშე კაპიტალისტიც უღონოა, შეცვლა მთელი წყობილების ერთად ერთი საშუალებაა წესიერების დაცვისათვის და სხ. ჩვენ ამ გზაზე მივდივართ. უამისოთ არ არის განვითარება, არ არის ეკონომიური წარმატება, არ არის ბურჟუაზიის ძველ ურთიერთობაზე გამარჯვება და, მაშასადამე, არ არის კულტურული ზრდაც. ყველა ეს ერთი მეორისაგან მომდინარეობს, ერთი მეორის შვილია. ეს მთელი სისტემა, ორგანიზმია. თუ ერთი მისი შემადგენელი ნაწილი აღორძინდა, უნდა აღორძინდეს ყველა, თუ ერთი დაიშალა უნდა დაიშალოს ყველა. ეს გადაუვალი კანონია, სხვა გზა არ არის.

ამ ნაირათ, საქართველოში ერთ და იმავე დროს ვითარდება ორგვარი კლასიური განხეთქილება: წინააღმდეგობა ბურჟუას და თავად-აზნაურობას შორის და წინააღმდეგობა თვითონ ბურჟუას და მუშა-ხალხს შორის. პირველ შემთხვევაში რევოლიუციონურ ძალას წარმოადგენს ბურჟუაზია, [3]) მეორე შემთხვევაში მუშა-ხალხი. პირველი მიზნის მისაღწევათ ბურჟუაზიას ეხმარება მთელი ხალხი, ვინაიდან მთელი ერის ინტერესია განთავისუფლდეს მოპერებული წყობილებიდან. აქ ბურჟუაზიის ლტოლვილება ხალხის ლტოლვილებაა. მეორე შემთხვევაში მოკავშირენი — ხალხი და ბურჟუაზია — ნაწილდებიან ორათ, რომელთა შორის ტყდება სასტიკი და უკანასკნელი ბრძოლა. აქ ბურჟუაზიის ლტოლვილება აღარ არის ხალხის ლტოლვილება. მათ შორის ღრმა ორმოა. თუ პირველი ძლიერდება ფულით, შეძლებით და მით ბურჟუაზიული განათლებით, მეორე უნდა გაძლიერდეს ერთობით, თანხმობით და მუშური შეგნებით. აქ საძირკველი შრომაა, იქ კაპიტალი. ამ ორი ელემენტის შერიგება ვერ მოხდება, სანამ ისინი სხვა-და-სხვა პირს ეკუთვნიან. მათი შეკავშირება, ერთ და იმავე პირში თავის მოყრა არის ერთად ერთი საშუალება მათი შერიგების და ყოველივე განხეთქილების მოსპობის. აი, ამ ისტორიული დანიშნულებისათვის მოწოდებულია დღევანდელი მუშა-ხალხი. მან უნდა მოუღოს ბოლო ბრძოლას რომელიც ატეხილია კაპიტალსა და შრომას შუა, მდიდარსა და ღარიბს შორის და უდაბნოში მოტანტალე კაცობრიობა აღთქმულ ქვეყანაში შეიყვანოს. მას

---

[2]) ქართველი მუშა დღეს უფრო უცხო ტომის ბურჟუასაგან იყვლიფება, ვინემ თვითონ ქართველისაგან, ვინაიდან ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ ვერ არის მოღონიერებული. მისი გაძლიერება ნიშნავს ქართველი მუშის პირველისაგან განთავისუფლებას და მეორის ხელში ჩავარდნას.

[3]) მკითხველს ხელ-მეორეთ მოვაგონებ, რომ მე აქ ეკონომიური სარბიელი მაქვს სახეში; პოლიტიკაში მან შეიძლება შესაფერი როლი ვერ ითამაშოს.



იტალიელი ახალგაზდა ქალი.

დროშაზე წერია: tout pour le peuple, tout par le peuple—ყველაფერი ხალხისათვის, ყველაფერი ხალხითვე. ვინც ამ დროშას ქვეშ იბრძვის, ის იბრძვის ხალხისათვის, ვინც ამ დროშას ებრძვის, ის იბრძვის თავისთვის ხალხის წინაალმდეგ. დეე, მუშა-ხალხმა შეიგნოს რაც არის და რაც უნდა იყოს. დეე, გამედიდურდეს, გაამპარტავნდეს, რომ მხოლოთ მას ასეთი უდიდესი მოვალეობა ისტორიამ არგუნა!..

—

დასკვნა. მესამოცე წლების ცხოვრებამ წამოაყენა ორი კითხვა: ბატონ-ყმობის გაუქმება და სამშობლო ენის დაცვა. ეს ორი დედა-აზრი შეიქმნა მაშინდელ მოღვაწეთა სახელმძღვანელოთ. პირველი კითხვა დღეს აღარ არსებობს, ბატონ-ყმობის მოსპობას ყველა შეურიგდა, მეორე კითხვას გაცილებით ფართო ნიადაგი მიეცა. ეს ნიადაგი შეიცავს შემდეგ ორ კითხვას, რომელიც წამოაყენა დღევანდელ ცხოვრებამ: ეკონომიური განვითარება მთელი ერის საერთოთ [4]) და ეკონომიური განვითარება თითოეული კლასის კერძოთ. პირველი ჩვენი ეროვნული, კულტურული კითხვაა, მეორე კი კლასსიური, სოციალური; უკანასკნელი პირველის ერთათ ერთი შინაარსია. ეროვნული ზრდა არ არის კლასთა ბრძოლის გარეშე. წინ-სვლის დედა-ძარღვი აქ არის დამარხული. ბურჟუაზია უარ-ჰყოფს პატრიარქალურ-ფეოდალურ ურთიერთობას და ამყარებს ბურჟუაზიულს, მუშა-ხალხი უარ-ჰყოფს ბურჟუაზიულს და ამყარებს კოლექტიურს. ეს პროცესი მოძრაობაა და არა რეცეპტი და პროგრამა. აშკარაა, დღევანდელ მოღვაწეთათვის ეს ორი კითხვა უნდა შეიქმნეს სახელმძღვანელოთ და მით გაგძელებულ იქმნას მესამოცე წლების გონებრივი მოღვაწეობა, ისე როგორც დღევანდელი ცხოვრება მაშინდელი ცხოვრების ნივთიერი გაგძელებაა.

როცა ეს ისტორიული მოწოდება ცხოვრებიდან გონებაში გადავა, შეგნებით გაშუქებული შეიქმნება კუთვნილებათ თითოეული ქართველის, მიწვდება უკანასკნელ სოფელს, შევა უკანასკნელ ქოხში, მაშინ ხეზე შემომჯდარი მერცხალი გადმოგვძახებს:

„გაზაფხული, გაზაფხულიო“.

ნ. ჟორდანია.

## არაგვისპირელს

როდესაც ჩვენში მწერლობა
თან-და-თან იშრიტებოდა,
შენ მოგელოდი „ხედ-წმინდათ“
და ნახვა მენატრებოდა.

—

მოხველ თავ-მდაბლათ და ამბობ:
„გიახელთ ახალ-დვრიტათო!“
და მეც რას გეტყვი მოხუცი,
თუ არა: „ჭეშმარიტათო!?.“

აკაკი.

---

[4]) ჩვენ აქ არ შევხებივართ, იმ კითხვებს, რომელნიც შეკავშირებულია ამ მხარესთან. აღვნიშნავთ მხოლოთ ერის ხალხის გამრავლება მჭიდროთ შეკავშირებულია საწარმოეო ძალის განვითარებასთან. რამდენათ ეს საყურადღებოა პატარა ერისათვის თავისთავათ აშკარაა.

## კ რ ი ტ ი კ ა.

### „ევა“ მოთხრობა რ. ფაელენიშვილისა

### („მოამბე“, 1896 წ. № 1.)

სანამ ბ. რ. ფაელენიშვილის მოთხრობის, „ევას“, წაკითხვას დავიწყებდით, ჩვენ ვფიქრობდით: ამ მოთხრობაში გამოყვანილი ქალი ვინმე ცდომილი, დაცემული და თუ გნებავთ, ცბიერი ქალის ტიპი იქნებაო. დავიწყეთ კითხვა და როგორი იყო ჩვენი განცვიფრება, როცა დავინახეთ, რომ „ევაში“ ავტორს სულ სხვა ქალის ტიპის დახატვა მოუწადინა. ჩავიკითხეთ ბოლომდე და, უნდა გამოვტყდეთ, სამწუხაროთ, ჩვენ მაინც ჩვენსავე პირველს აზრს დავადექით. იქნება ამის მიზეზი, მართლა, ისიც იყოს, რომ ჩვენ თითქოს წინასწარ შედგენილი აზრით დავიწყეთ კითხვა.

მაგრამ, ვგონებთ, უმჯობესია ჩვენი შთაბეჭდილებანი, ამ მოთხრობით გამოწვეულნი, გავუზიაროთ მკითხველს.

თ. ამირინდო ფუყაძის ოჯახობას ეკუთვნის გმირი მოთხრობისა, ევა. თ. „ამირინდო“ უკვე განისვენებს წიაღსა შინა აბრამისას იმ დროს, როცა იწყება მოთხრობა. მისი ოჯახობა, კარ-მიდამო გოგოლისებურათ აქვს აწერილი ავტორს.

ევა სხვა წევრებს ამ ოჯახისას არა გავდა. „ის სულ სხვა ადამიანი იყო, ისე არსად გამართლებულა ქართული ანდაზა, რომ „ერთი ხიდან ჯვარიც გამოვა და ნიჩაბიცაო“.

მოვიყვანოთ უმთავრესი ეპიზოდები ევას ცხოვრებიდან.

ის შვიდის წლისა ერთი თავისი ნათესავის შემწეობით შედის სასწავლებელში და შვენივრათ სწავლობს. 15 წლისას მას „უკვე გადაკითხული ჰქონდა ჩვენისა და უცხოეთის მწერლების საუკეთესო ნაწერები“. ფრანგულიც არა ნაკლებ იცოდა ქართულ და რუსულზე. ევა მუდამ იმაზე ოცნებობდა, თუ როგორ გამოდგომოდა თავის ქვეყანას. ვინაიდგან სამკალი მრავალი იყო, და მუშაკნი მცირე, იგი ხედავდა თავის დიდ მოვალეობას ქვეყნის წინაშე. მაგრამ „ევას კაცობრიულს აზრებს მოკლე ფრთები აღმოაჩნდა“. მისი ნათესავი, რომლის ხარჯითაც იზრდებოდა იგი სასწავლებელში, გადაიცვალა, რის გამო იძულებული შეიქნა სასწავლებლიდან გამოსულიყო.



ამერიკაში ხე-ტყის ზიდვა.

ამ დროს ევა საჩუქრით მეშვიდე კლასში იყო გადასული.

შინ დაბრუნებულ ევას საშინლათ უწეს-რიგო და ბინძური ზნეობის ოჯახობა დახვდა. იმან მეორე დღესვე ცალკე ოთახი გამოითხოვა ზემო-სართულში, შვენიერათ მოაწყო და იქ დაბინავდა. თავის ძმებსა და დებს საკმაო გრძელი „ნატაცია“ წაუკითხა ოჯახის ფეხზე წამოყენებაზე, მაგრამ რაკი ვერა შეასმინა-რა, განზე გაუდგა იმათ, ცხოვრებდა ცალკე, თითქმის პურსაც იმათთან არა ჭამდა.

სამაგიეროთ იგი დაუახლოვდა გლეხ-კაცობას. აიყვანა იმათი და ღარიბი აზნაურშვილების ბავშვები და დაუწყო სწავლება. უნდა ვთქვათ, რომ იგი ამ საქმეს გულ-მხურვალეთ ეკიდებოდა. მეტათ ბეჯითათ ასწავლიდა ის თავის მოწაფეებს და მის სწავლებას ნაყოფიც ჩინებული გამოჰქონდა. ,,იშვიათი პედაგოგი დააყენებდა ისე მალე და რიგიანს წრეზე ბავშვებს, როგორც ევამ დააყენა''. გარდა სწავლებისა, კვირა-უქმე დღეს, იგი ფიზიკურათაც ავარჯიშებდა ყმაწვილებს. დაჰყავდა ტყე-მინდვრებში და აქ ბუნების-მეტყველებასაც ასწავლიდა. გლეხ-კაცობა მეტათ კმაყოფილი იყო და უმადლოდა ევას. შეისმინა ხალხმა უკანასკნელის რჩევა-დარიგება და თანხმობა გამოაცხადა სკოლის გახსნაზე და მასწავლებლის თავის ხარჯით შენახვაზე. ამის თაობაზე განაჩენიც შეადგინეს და ევას ჩააბარეს ვექილობა, რათა მას ეშუამდგომლა, სადაც ჯერ იყო.

არც ევას შრომა დაუტოვებიათ დაუჯილდოებელი: თითოეული შეგირდის სწავლებაში მშობლები თითო მანეთს იხდიდენ. ასე რომ სამი წლის განმავლობაში, თვითონ ერთი კაპიკი არ დაუხარჯავს სახლისა, (ჩაცმა-დახურვა ხომ უნდოდა სუფთათ, ჟურნალ-გაზეთების გამოწერა, ახალი წიგნების შეძენა), დედასაც ყოველ წელიწადს ერთ-ხელს ტანისამოს უყიდდა და თავით ფეხამდე შემოსავდა ხოლმე, და ამავე დროს ევამ 30 თუმანსაც მოუყარა თავი. მას უნდოდა ამ ფულით სასწავლებლის დამთავრება და მოწმობის აღება, რათა მომეტებული უფლებით აღჭურვილს მეტის გაკეთება შეძლებოდა.

შეაგროვა თუ არა ეს ფული, ოჯახის წევრთა საქციელით მოთმინებიდან გამოყვანილი ევა ერთ დილას მიიპარება ქალაქში, სასწავლებელში კვლავ შესასვლელათ. მაგრამ ველარ წვდება თავის მიზანს... დაფრთხალი ცხენები სწრაფათ მოტრიალდენ. ,,საბრალო ევა კი უცებ მოტრიალებულ ეტლს ისე მძლავრათ გაესროლა, რომ თავი მიენარცხებია ვერხვზე და ზედ შეესხმია ტვინი''.

ევა საკმაოთ განვითარებული და არც უკულო ადამიანია. იმისი ახალგაზდა გული ფეთქს თანაგრძნობით გაჭირვებულთადმი ამა სოფლისა და მოწადინებულიც არის, შეძლებისამებრ, თავის სამშობლოს, რომელსაც ბევრი რამ ეჭირვება, რითიმე მაინც გამოადგეს. მაგრამ, საუბედუროთ, იგი ამასთანავე, ჩვენის აზრით მეტის-მეტი თავ-მოყვარე არსება გახლავს. თავ-მოყვარეობა ძვირფასი თვისებაა კაცისათვის, მაგრამ თავ-მოყვარეობაც არის და თავ-მოყვარეობაც. თავ-მოყვარეობა, რომელსაც საფუძვლათ უდევს მაღალი პიროვნული ემოციები, ყოველთვის გაცილებით მაღლა დგას იმ თავ-მოყვარეობის გამოჩენაზე, რომელიც გამოწვეულია დაბალი ცხოველური მხრის ინსტინქტებით. ევას ალტრუისტური გრძნობანი თითქმის საშუალებათ გაუხდია თავის თავ-მოყვარეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. ამიტომაც, თუ გნებავთ, იგი არის გამსჭვალული ამ გვარი გრძნობებით, და არა თუ ცხოვრების საშინელი ქარ-ტეხილის დროს, არამედ დაკმაყოფილდებიან თუ არა მისი პირადი მისწრაფებანი, საფიქრებელია გააგდოს ხელიდან ,,ჯვარი თვისი'' და გადივიდეს ,,მოდნი ლიბერალთა'' გუნდში, და ასეთ გვარ ლიბერალობას, როგორც გვახსოვს, ქ-ნ. ეკატ. გაბაშვილის შვენიერ მოთხრობის (,,გამარჯვებული ნიკო'') იასონიკ ალარ გახლავს მოკლებული, როგორც თვითონაც ამბობს.

ევა სასწავლებლიდან ძალით გამოყვანილი, რომ ვერ აჯერხებს იმავე წელს სასწავლებელში შესვლას და სწავლის დამთავრებას, ეს სრულიათ არ ამტკიცებს ევას ხასიათის სისუსტესა და მის მოუხერხებლობას, რადგან სიღარიბესთან ბრძოლა ამ ჩვენ დროში არა თუ ქალისათვის, ვაჟისათვისაც ფრიად ძნელი რამ არის. მაგრამ ევამ რომ თავის ნათესავებთან უ[illegible]ბათ შეწყვიტა კავშირი, ეს კი ვერაფერი საგმირო საქმე ჩაიდინა იმან. გვჯერა, რომ მისი ნათესავები უფროსებიდან უმცროსებამდე ერთი-მეორეზე უარესნი, მოუხეშავნი და უწეს-რიგონი იყვნენ. მაგრამ, რაც უნდა ყოფილიყო, განათლებული და მომეტებული ენერგიის ქალი ან კაცი, ვთქვათ, ისე არ მოიქცევა, როგორც ევა მოიქცა. მარტო იმიტომ, რომ ოჯახში წეს-რიგი ვერა ნახა, მეორე დღესვე არ გა[illegible]ნეყოფოდა და არ დაშორდებოდა თავის ოჯახს: ჯერ ცდიდა ის სისუფთავე-სიფაქიზე, წეს-რიგი და სხვ., რაც მას განათლების მეოხებით შეეძინა და რასაც მისი და-ძმები უამისობით მოკლებული იყვნენ, შეეტანა ოჯახში. შეიძლება, ყოველგვარ ცდა ამაოთ ჩაეარნა და არ გათეთრებულიყვნენ ყორნები, მაგრამ მაინც, როცა ევა საკმაო შრომა-ჯაფას ნახავდა, საკმაო ბრძოლას გამოივლიდა, მხოლოდ

მაშინ უნდა განზე გადგომოდა იგი თავის ნათესავებს. ამიტომ სხვებისა არ ვიცით, და ჩვენ კი ევას საქციელში ვხედავთ ვიწრო ეგოისტობას.

გამოვიდა რა საზოგადოებაში, ევა არც აქ მოქცეულა სულ სამართლიანათ, სწორეთ და რიგიანათ. თვით ავტორიც გვეუბნება: „ევას განვითარებულ და ჭკვიან გონებას არ აკლდა ეშმაკობაც, ცოტაოდენი ცბიერობაც“. იგი „მისის ქცევა-სილამაზით გატაცებულ“ ყმაწვილებს ეტყოდა ხოლმე:

— „თავადო, მომწონს თქვენი გაბედული გულწრფელი ხასიათი. ახლა თუ კავალერი ხართ, აბა, გვიჩვენეთ თქვენი ვაჟკაცობა, გვასიამოვნეთ რითიმე ქალები“.

ამ გვარათ „ერთი გარბოდა თავ-გადაგლეჯილი ხილისათვის“, მეორეს ცხენოსნობით უნდოდა თავი გამოეჩინა.

„ევა კი დაცინვით დაცქეროდა... და ცბიერათ და მოსდენილი ღიმილით შესძახებდა: ვაშა, ვაშა!“

ევა არავის არ თანაუგრძნობდა, და არც ჩქარობდა გათხოვებას, ან გულისთქმის აყოლას. მაგრამ იგი ჯერ თითქოს ნებას აძლევდა არშიყობისას, სიყვარულის გამოცხადებისას, მერე კი მკვახე სიტყვებით ისტუმრებდა ყმაწვილ-კაცებს.

ჯერ უნდოდა სწავლის დამთავრება, და თუ მერე ამოჩნდებოდა ვინმე ისეთი, რომელსაც მიეთვისებოდა მისი გული, მაშინ სხვა იყო.

ევა ამავე დროს გულში ფიქრობდა: „ვერც ერთ ჩემ საწადელს (საზოგადო სამსახურზე ამბობს) ველარ მივახწევ, რომ გავთხოვდე.—იმას ღრმათ სწამდა, რომ „ცალი ხელით ორი საზამთრო არ დაიჭირებაო“—რომ გათხოვილ ქალს ორი კი არა ხუთი და ათი საქმე დააწვებოდა. იმას არც მწვადი უნდოდა დაეწვა, არც შამფური, ერთი სიტყვით ცბიერი რამ იყო ევა, ცბიერი.

ევა, როგორც ვნახეთ, მეტათ მუყაითათ მოღვაწეობდა საპედაგოგიო ასპარეზზე, მეტათ გულიანათ ემსახურებოდა ხალხს. ჩვენ მაინც ეჭვი შეგვაქვს, რომ მას ყოველ ამასთან გული სხვაგნისკენაც რომ არ ჰქონდეს: ევას დიდ-კაცური ცხოვრების სადღეღელიც აშლილი ჰქონდა და ამავე დროს ხალხის სამსახურიც სწადდა. სანამ ეს ორი მოთხოვნილება ერთ კალაპოტში ეტეოდა, იგი ხალხის სამსახურს არ უღალატებდა. მერე? მერე კი ნამდვილ ევათ გადიქცეოდა. რაკი ცხოვრების მდინარე ორ ტოტათ გადიქცეოდა, იგი უეჭველათ —ჩვენ მაინც ასე გვგონია—პირად სიამოვნების ტოტს გაყვებოდა, და საზოგადო სამსახურს კი იქით მიაგდებდა.

ევა უცრემლოთ, გულ-დაუწველათ, უგულოთ არ ეთხოვება თავის შაგირდებს, და ამასთან იგი მიდის თვით-განვითარებისათვის, განათლებისათვის, რომელიც თავით თვისითაც ღირსია იმისი, რომ ბევრი სხვა რამე გაწიროს კაცმა მის გულისათვის.

მაგრამ მაინც როცა კარგათ ჩავუკვირდებით ევას ამ მოქმედებას (მისი სწავლის განსაგრძობათ მუშაობას), ჩვენი წარმოდგენა იმაზე კიდევ უფრო ნამდვილათ გვეჩვენება. მართლაც, როგორ შეერია იგი ამდენი ხნის დაწყებულ და ნაჭირნახულევ საქმეს, როგორ დააგდო იმან უპატრონოთ თავისი მოსწავლე ბავშები, როგორ დატოვა უწარმოებლათ ჯიბაში ჩადებული განაჩენი საზოგადოებისა შკოლის გახსნაზე. მატერიალურათ ევა, გავიხსენოთ, უზრუნველ ყოფილი იყო. ცხოვრებდა სუფთათ, წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, საზოგადოებაში გამოსვლა არ აკლდა, სამი წლის განმავლობაში სამასი მანეთიც შეგროვილი ჰქონდა. ასეთ შემთხვევაში მის მიერ შკოლის დაგდებას და სწავლის განსაგრძობათ წასვლას მხოლოთ მაშინ ექმნებოდა გასამართლებელი საბუთი, თუ რომ ცხოვრებას, პრაკტიკას აშკარათ დაენახვებია მისთვის, რომ მისი სწავლა არა კმაროდა გლეხ-კაცობისათვის, იმისი სამსახურისათვის, ერთი სიტყვით იმ წრისათვის, სადაც იგი მოღვაწეობდა, რომ სწავლის ნაკლებობის მიზეზით ბევრგან და ბევრჯელ ფეხი წაეკრა და ასეთს მარცხს ეთქმევინებია მისთვის: წადი, შეივსე სწავლაო. ამისთანა არაფერი არ ყოფილა. პირ-იქით, როგორც ვნახეთ, ევას მოღვაწეობას შვენიერი ნაყოფი გამოჰქონდა (გაიხსენეთ: იშვიათი პედაგოგი დააყენებდა და სხვ.), საქმის ქაღალდებსაც უწერდა გლეხებს, სიტყვასაც უჯერებდენ. და, აი, ასეთს შემთხვევაში ნამდვილი ხალხის სამსახურით გატაცებულ პირს თავისი პირადი ინტერესები (მეტი სწავლის შეძენა, რომელიც არაფრით არ მტკიცდება, რომ ხალხისთვის მიუცილებლათ საჭირო იყო) ხალხის სარგებლობისათვის უნდა შეეწირა. ასე მოიქცეოდა ჩვენის აზრით ჭეშმარიტი ალტრუისტული გრძნობით გატაცებული ახალგაზდა. ევა კი, იშოვა თუ არა საჭირო „გროშები“, გაურბის ხალხს, მოწმობის მისაღებათ, რათა უკან აღარ დაუბრუნდეს. ამ არ დაბრუნებას, თუ აშკარათ არა, სამგონიოთ მაინც მოწმებს მოთხრობის ის პირველი თავიც, სადაც აწერილია ევას ოცნებობა და საწოლების ისტორია. ჩვენ ერთი პატივცემული პირი ვიცით, რომელიც მოღვაწეობდა საპედაგოგიო ასპარეზზე, მაგრამ, ნახა რა, რომ ეს გზა ვარდის ნაცვლათ ეკლით ყოფილა მოფენილი, თვისი და შენაგროვი ფულებით გაემგზავრა უმაღლეს სასწავლებელში კბილის ექიმობის შესასწავლათ. პირადათ მისთვის, თქმა არ უნდა, ეს უკანასკნელი პროფესია ემჯობინება, მაგრამ ეს ხომ იმას არ ნიშნავს,

რომ ის იდეალურათ მოიქცა იმ წრისათვის, სადაც იგი მოღვაწეობდა და, იქნება, შემდეგშიაც „ამოქმედოს“, მაგრამ გულისა და სულის ექიმობა უფრო საჭირო იყო, ვინემ კბილებისა.

პატივცემულ ახალგაზდა ბელლეტრისტს უნდოდა, ვგონებ, დაეხატა საზოგადო მოღვაწე ქალის ტიპი ჩვენში, მაგრამ, რადგან ასეთები დღეს ჩვენში თითით ჩამოსათვლელი არიან, წარმოგვიდგინა იმნაირი ქალების ტიპი, რომლებიც უმრავლესობას შეადგენენ. ასეთი ქალები, თუ არა ვცდებით, დასრიალობენ (დაცურავენ) სცილლასა და ხარიბდას შორის, ცდილობენ არც მწვადი დაწვან და არც შამფური. მაგრამ, რადგან კაცი ან ღმერთს უნდა ემსახურებოდეს და ან მამონს, და ორი კურდღლის დაჭერა ერთ და იმავე დროს მოუხერხებელია, იგინი ხშირათ სულ უბრალო შემთხვევის გამო აგდებენ ხელიდან დროშას ხალხის სამსახურისას. ეგა სწორეთ ჩვენი ახლათ გამოღვიძებული, ახლათ გამოსული, ჯერ უბრალო ქარის შებერვისაგანაც იქით-აქეთ მარყეველის, საზოგადო მოღვაწე ქალის ტიპია. ავტორს, ვიმეორებთ, იქნება, ცოტა სხვა რამე უნდოდა დაეხატა, მაგრამ რაც დღეს არის, ის კი დაგვიხატა, ამიტომ ჩვენ მისი—ავტორისა და არა მის მიერ გამოყვანილ ტიპის მაგვარ ქალებისა—დიდი მადლიერი უნდა ვიყვეთ. დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა ისეთია, რომ ამისთანა „ქირი ჭოფა“ ქალები ჩვენ არ გამოგვადგება. დღეს ჩვენთვის საჭირო არიან ნამდვილი ქეთევანისებური გმირი ქალები. ეგა უბრალო შემთხვევამ იმსხვერპლა. ნუ ვინაღვლით(!), გულს ნუ გავიტეხთ ამაზე სჯობს ასეთს არსებას პირდაპირ მივაძახოთ: „туда ему и дорога“.

პ. ჯ—ა.

## ბაში—აჩუკ.*)

ფეიქარხანმა იმ დღეებშივე დაიბარა აბდუშაილი და უთხრა:

—ერთგულობის გამომჩენი როგორც ჩვენებში, ისე სხვისიანებშიაც ბევრი, მყავს, მაგრამ ამ საიმდულოს შენს მეტს მაინც არავის ნავანდობო!

აბდუშაილმა, მორჩილების ნიშნათ შუბლზე მიიდვა ხელი და მოახსენა: „ბაშუსტაო“. მაშინ მოუყვა ყოლიფერს, რ ც თიმსალ-მაკოსაგან შეეტყო და დაავალა, რომ ცხენოსნები წაიყვანე დანიშნულ დღეს, შამოარტყი გარს მელანოს სახლს და როგორც ის ქალი, ისე ბაში-აჩუკიც დაჭერილი მომგვარეო.

აბდუშაილს არ ეჭაშნიკა ეს საქმე:

მარტო რომ სადმე შევყროდი და სამაგიერო გადამეხდევინებია, ის იქნებოდა კარგი, თუ არა: კაცს უდროოთა და უადგილოთ მივასწრო; ჯარი დავახვიო და დავიჭირო, ეს რა ვაჟკაცობაა და რა საკადრისიაო. მთელი ის დღე სულ ამაზე ფიქრობდა; დაღამდა თუ არა, გაუდგა გზას მარტოთ მარტო და მიადგა კარზე თევდორაანთ მელანოს, მელანომ რომ უდროო დროს მოსული უცხო თათარი დაინახა, შიშის ქარმა აიტაცა, მაგრამ აბდუშაილმა უთხრა:

—ნუ გეშინია! სამოყვროთა ვარ მოსული და არა სამტროთაო. ქალმა რომ შვენიერი ვაჟკაცი ტკბილათ მომღიმარი ნახა, გული მოიბრუნა.

—კურთხეულ იყოს თქვენი მობძანებაო“, ყელმოღერებით უთხრა, მორცხვათ კაბები გაისწორა და სკამი დაუდგა. თათარმა მიიხედ-მოიხედა, კარები გადაუკდო შიგნიდან და ხანჯალი ამოიღო. ქალი შეკრთა და უთხრა:

—რასაჭიროა იქ ძალადობა, სადაც ნება ყოფლობას წინ არა უდგას რაო. თათარმა ვითამ ვერც კი გაიგონა ეს სიტყვები, ჩაიყო მეორე ხელი ჯიბეში და სავსე ქისა ამოიღო.

აი, ხომ ხედავ! ერთ ხელში ხანჯალი მიჭირავს—მეორეში ოქრო; რომელიც გინდა აირჩიე! თუ ჩემ სურვილს შეასრულებ,—გაგამდიდრებ, თუ არა და—ამ ხანჯალზე აგაგებ ახლავეო.

ქალმა მორცხვათ წაილაპარაკა,—ნურც ხანჯალს გარჯი და ნურც ოქროს დახარჯავ, მე შენს მარტო ვაჟკაცობასაც დავჯერდებიო. აბდუშაილმა მკვახეთ მიაძახა.

—ცდები, შენ რომ ფიქრობ, მე იმ განზრახვით არ მოვსულვარ! მე ვიცი, რომ შენთან ბაში-აჩუკი დადის და ის როგორმე ხელში ჩამაგდებიეო.

ამის გამგონე მელანო გადაფითრდა, და კანკალი აუვარდა; დიდ ფიცსა და უარზე დადგა; აბდუშაილმა სიამოვნებით შეხედა ქალს, მაგრამ ისევე უცბათ შეჭმუხნა სახე და ურჩია:

—არა! აქ ფიცი აღარ გაგივა, დაწვრილებით ეცი, როგორც არის საქმე. აჰა! წაიღე ამ თავით ეს ქისა და მერე, როცა იმას ხელში ჩამიგდებ, ის ათასი ოქროც შენთვის დამითმია და არც მოღალატობას გაგამხელ, ალ-ლახი მომიცია თავდებათაო. ამგვარი რამეები ბევრი უთხრა, დიდხანს ურჩევდა, მაგრამ გაკერპებულმა ქალმა გააქანა თავი. აბდუშაილი თან-დათან ალტაცებაში მოდიოდა და გუნებაში ფიქრობდა: აი, სად ყოფილა ქალი! კიდეც ეს არის, რომ ამდენი

*) იხ. კვალი № 16.

ხანია ქართველები, გვიმკლავდებიანო! უკანასკნელათ მიუბრუნდა ქალს და შესძახა:

—მაშ, ახლა კი გამოეთხოვე სიცოცხლესო! ქალი ჩაიკეცა და სიკვდილის მომლოდინემ თვალებზე ხელი მიიფარა; თათარმა ხელები მოაელო, წამოაყენა ზეზე და დამშვიდებით უთხრა:

—გეხუმრე, შენ სასიკვდილოთ გასამეტებელი არა ხარ! ჰამფერ დედაკაცო, სიყვარულიც გცოდნია და მეგობრობაც. ბევრი რამ გამეგონა ქართველ ქალებზე, მაგრამ ნახევარიც არ მჯეროდა, ახლა კი გამოგცადე და დავრწმუნდით. მელანო! მუხლებზე მოეხვია და დაუწყო კოცნა.

—მე ვიცი—განაგრძო აბდუშაილმა—რომ ამა და ამ დღეს ბაში-აჩუკი შენთან იქნება; - მეც ნაბრძანები მაქვს, რომ ჩემი ცხენოსნებით შამოვერტყა გარს შენ სახლს და დავიჭირო, მაგრამ გააფრთხილე, რომ აქ არ დამიხვდესო! გაოცებულმა მელანომ უცბათ შეჰკივლა!

—მაშ—შენ მეგობარი ყოფილხარ ბაში-აჩუკისო?

—არა! მტერი! დაუძინებელი მტერი! ან ის უნდა იყოს და ან მე! ან უნდა მოვკლა, ან უნდა შევაკვდე, მაგრამ უნდა შევხვდე სადმე, და პირ-და-პირ უნდა მივიდეთ ერთი მეორეზე, ისე როგორც ვაჟკაცის წესია და არა ქურდულათ, ღალატით, როგორც ნაბძანები მაქვს. ხომ გესმის? ესეები ყველა გადაეცი ბაში-აჩუკს და ახლა კი მშვიდობით და გამარჯვებითო. გამოეთხოვა, გადაუგდო სავსე ქისა და გაიარა კარი.

დანიშნულ ღამეს აბდუშაილი მართლა შამოერტყა გარს მელანოს სახლს, მაგრამ სახლში შეშინებული ქალისა და მძინარი ბავშების მეტი ვერავინ ნახეს. იმავე დროს შიგ თელავში ავარდა ალი და თიმსალ-მაკოს სახლი ისე გადიბუგა, რომ ვეღარაფერი ვეღარ გადაარჩინეს, გარდა ადამიანებისა.

—

ერთ დღეს დილიდან საღამომდი, შუა მთის უდაბურ ტყეში დადიოდა აბდუ-შაილი, რომ ეგებია ბაში-აჩუკს, ან მის ამხანაგთაგანს, და ან მათ ბუდეს სადმე წავატყდეო, მაგრამ მოუცდა განზრახვა. დაბრუნებულზე წინ ერთი შველი შეეფეთა, შეჩერდა ახლო-მახლოს და ისე დაუწყო ყურება, თითქოს შინაურიაო. აბდუ-შაილმა შვილდ-ისარი მოიმარჯვა, სტყორცა და გააგორა მიწაზე; რომ მივიდა ასაღებათ, ნადირი უცბათ წამოვარდა ზეზე და ბარბაცით გაუდგა გზას; მონადირე მიჰყვა კვალ-და-კვალ. შუაგულ ტყეში თურმე ერთი დიდი მინდორი იყო და იმას მიაშურა, მონადირეც რომ მიადგა ტყის პირს და მინდორს თვალი გადაავლო, შენიშნა, რომ მეორე მხრით ტყიდან გამოვიდა ერთი ახალგაზდა ქალი, რომლის მზგავსი ჯერ ამას არა ენახა-რა; შეჩერდა და ამოეფარა ხეს. დაკოდილმა შველმა პირ-და-პირ ქალისკენ მიმართა, შეწივლა ორჯელ-სამჯელ, მიუახლოვდა და მიადვა კალთაზე თავი. ქალი შეკრთა, მიიხედ-მოიხედა და რომ ვერავინ დაინახა, თეძოში გარჭობილი ისარი ამოუღო, გადააგდო, მოჰკიდა შველს ნაყარ რქებში ხელი და იქვე ახლოს წყაროსთან მიიყვანა, სისხლი გაბანა და წყლული ამოუწმინდა. შველი ისე ემორჩილებოდა, როგორც გრძნობიერი რამ: დაუწვა ფეხთით ცალ გვერდზე და მიანდო თავი; ქალმა მანდილს ყური მოხია და დაუცვა ჭრილობა. ამას ყოლიფერს გაოცებით უყურებდა მონადირე და გუნებაში ამბობდა: ნადირთა ღმერთს რომ იტყვიან, სწორეთ ეს უნდა იყოსო! აღარ მოუთმინა გულმა, მიეპარა ფეხ-აკრებით და წაადგა თავზე. შველმა იგრძნო, დაფთხა, წამოვარდა ზეზე, ორჯელ-სამჯელ გადახტა განზე, მაგრამ უცბათ შეჩერდა და მოიხედა უკანვე. ეტყობოდა, რომ მონადირეს ერიდებოდა და იმავე დროს ქალის მოშორებაც არ უნდოდა. ქალი წამოდგა ზეზე, მოიხედა უკან და თათარი რომ დაინახა, ერთი საოცრათ დაიკივლა, ჩაიკეცა და შემოეყარა გულს. აბდუ-შაილი მივიდა, მოჰკიდა ხელი, ბევრი აბრუნა აქეთ-იქით, ცხვირი მოუსრისა, ყურები აუწია, მაგრამ ვერ გამოაბრუნა; მივიდა მერე წყაროზე, პეშვი აივსო წყლით, გამობრუნდა და ასხურა გულ-წასულს. ქალმა თვალები გამოახილა.

—ნუ გეშინია! შენ და და მე ძმაო—მიაძახა აბდუ-შაილმა,—მითხარი მხოლოთ: ვინ ხარ და საიდან, რომ ჭირისუფლებთან მიგიყვანოო?"

ქალმა ხმა ვერ გასცა, გაუშვირა თითი დასავლეთით ტყისკენ და ხელ-ახლათ შეუწუხდა გული. თათარმა აიყვანა ხელში ბავშივით, გადაიწვინა მკლავებზე, მიიყრდნო გულ-მკერდზე და ალალ-ბედზე წაიღო იქით, საითკენაც დაანიშნეს. შველი ძალლიევით აედევნა, წაუსწრო წინ, ერთ-ორს რომ გადახტებოდა, შეჩერდებოდა ხოლმე და მოიხედავდა უკან. თათარმა იფიქრა აქ რაღაც განგება არის, მივყვები ამ ნადირს და სადაც მიმიყვანს, მიმიყვანსო. გზაში, ქალმა რომ ვაჟკაცის გულ-მკერდის სითბო იგრძნო, გონზე მოვიდა, რაღაც უცნაურმა ჟრუანტელმა დაუარა ტანში, ჯერ გამოუცდელი სიტკბო იგრძნო; ვერ გამოერკვა!.. იფიქრა ეს სწორეთ სიზმარიაო! ძილში ადრეც მინახავს ამგვარი რამ, მაგრამ ეს კი ყველაზე უძლიერესიაო; დახუჭა თვალები და განაბა სული. ახალგაზდა აბდუ-შაილსაც რაღაც უცნაური ემართებოდა; დაჩერებოდა სახეზე და ფიქრობდა გუნებაში: ეს სწორეთ მაჰმადის დაპირებული მზეთ-უნახავი უნდა იყოს და მეც ცოცხლათ

სამოთხეში მივდივარო. ყოველ ბიჯის გადადგმაზე, გულის ძგერა უხშირებდა და უმატებდა. ქალთან სიახლოვის უჩვეულო არ ყოფილა, მაგრამ არაოდეს ეს არ უგრძვნია, რასაც ახლა გრძნობდა, სხომის მხოლოთ ხორცი გრძნობდა, ახლა კი ხორცი დადუნებულია, მხოლოთ სული იტაცებს და მიაფრენს სადღაც სანეტარო უფსკრულისაკენ. ამ ყოფით რომ მიდიოდა ნელა-ნელა, უცბათ შუაგულ ტყეში შენობა გამოჩნდა, და პირდაპირ მის გალავანს მიატყდენ.

შეელი მიადგა ჭიშკარს და წივილი დაიწყო. აბდუ-შაილმაც წიხლი ჰკრა, მაგრამ მაგრათ დაკეტილი დაუხვდა, მიაყურა და ხმაურობა არა იყო-რა. დადვა თავისი ძვირფასი ტვირთი ძირს და მოინდომა გალავნის ირგვლივ შემოვლა და იმავე ადგილს, რომ მოვიდა, აღარც ქალი დაუხვდა აღარც შეელი, კარები კი ისევ ისე დაკეტილი იყო შიგნიდან. აბდუ-შაილს, თითქმის, ელდა ეცა; დიდხანს იყურყუტა, ბევრი ათვალიერა აქეთ-იქით, გალავანსაც ორჯელ-სამჯელ გარს შემოუარა, მაგრამ სიცოცხლის ნიშან-წყალი არავერს ეტყობოდა. თქვა, რაც განგებას ჩემთვის დაუნიშნავს და ბედს ერთხელ უჩვენებია ის, იმედია, აღარ ამცდება და კიდევ სადმე შევხვდებიო, მაგრამ საიდუმლოთ კი უნდა შევინახოო.—დაღონებული და ნეტარებით გაბრუებული დაბრუნდა ფელავისაკენ.

იმ დღიდან, რაც უფრო მეტი ხანი გადიოდა, უფრო და უფრო ეკიდებოდა მას სიყვარულის ცეცხლი. მოსვენება აღარ ჰქონდა, შუა მთის მონასტრის ახლო-მახლო ტრიალებდა მოჯადოებულსავით; ბევრჯელ წყაროსთანაც გაუთენებია, მაგრამ აღარ იქნა, ვერ მიხვდა საწადელს. აღმოსავლეთურმა მიჯნურობამ შეიპყრო, გახელა და მარტოობისათვის მიაცემია თავი. მეგობრები წუხდენ, არეულათ რომ ხედავდენ, ეკითხებოდენ მიზეზს, მაგრამ ის საიდუმლოს ფარავდა და უბრალო ავადმყოფობას ადებდა ბრალს.

აკაკი.

(შემდეგი იქნება)

---

## გ მ ი რ ი.

შეუპოვარი, გულზვიადი და თავ-მომწონე,
ამაყათ მჩენი დგას და ოფლს ღვრის ბრძოლის ველზედა,
სადაც ბაალსა *) გაუშლია თავისი დროშა
და თვისი ტახტი აუმართავს ტანჯულთ მკერდზედა.
სიცრუე-სარსარით, გესლიანი, უკმეხი სიტყვით
ბრბო უგუნური ტალახს ესვრის ურჩს, ამაყს ძესა
და თითქო დემონს, დამამხობელს ცისა და ქვეყნის,
წყევლით და კრულვით ისხენიებს იმის სახელსა.
ზოგნი შიშით და მოწიწებით აძლევენ გზასა,
ზოგნი ჰკვირობენ მისსა ესდენ თავ-გამოდებას,
ზოგნი ცბიერნი ფარისევლურ ენამჭევრობით
გზას ულოცავენ, შეასხამენ ქებათა-ქებას.
ჩუ... სულ-მდაბალნო, მას არა სურს თქვენგან დიდება,
მის მეგობარი ხალხი არის, ხალხი ტანჯული,
შვილს ესმის მშობლის მაჯის ცემა, კვნესა, ტკივილი
და ღვიძლზე ნადებს შურისგებათ ეგზნება გული!
თქვენ ვერც მიჰხვდებით მისსა გრძნობას, მისსა საწადელს,
თქვენ ხომ არ გშიათ, არა გცივათ, ცხოვრებთ და ტკბებით,
ბაალთან ახლოს, ვითა ქურუმი, მოგიკვეცნიათ;—
იგი ვარვალებს და თქვენც ხარბათ თბებით და თბებით.
ესროლეთ გუნდა, შეუთვალეთ წყევლა და კრულვა,
ის წამების გზას ჭირის ოფლით აპოხიერებს
და ვიდრე გმირსა გული უძგერს ხალხით სიყვარულით
ძირს არ დაუშვებს საბრძოლველათ ამართულ ხელებს!

ი. ევდოშვილი.

*) ბაალი—კერპია.

---

## ნ უ შ ო.

(მოთხრობა) *)

### VI.

რამდენადაც გაიწია ვაჭრობამ, იმდენათ იმატ-
ჯაგუს შრომამაც, ისე იმატა, რომ ეს დაუღ-
ლავი კაცი, თანაც ფულის შოვნით გაბალ-
სებული, ხან-და-ხან თავწყალს ველარ აძენდა, ლონ-
მიხდილი, ილაჯ-გაწყვეტილი მიეშვებოდა და გამ-
ტერებული გაცქეროდა სივრცეს.

ამისთანა წუთებში ცხადათ ხედავდა ის, რომ
საჭირო იყო იმისათვის მეგობარი, რომელსაც შეძ-
ლებოდა გაეთბო და გაენათებია იმისი გული, მეგ-
ლო თავის თავზე რამე ზრუნვა, შინ მაინც შეეშ-
რებია იმისთვის შრომა; თვალი ედევნებია, სარის-
მიეცა შეტანილ დოვლათისათვის, ენუგეშებია, გუ-
ხალისებია დამაშვრალი, გაემართა იმისთვის კერ-
ისეთი კერა კი არა, როგორიც იყო ახლა იმის
სახლი – ეს ტკბილეულობით სავსე ტაბაკი, რომელ-
საც ესეოდა ყოველგვარი მწერი და გაჰქონდა, რო-

*) იხ. „კვალი“ № 17.

მელიც უფრო გულის გამყინავი იყო, ვინემ იმის გამათბობელი,— არამედ ისეთი კერა, სადაც მეგობრის ხანგრძლივ სიყვარულს უნთია თავის გაუქრობელი ლამპარი.

მაგრამ სად უნდა ეპოვნა ასეთი მეგობარი? ახლანდელ თავის ნაცნობებში? —რა პასუხია! ისინი ხომ მარტო კეკლუცი ყვავილები იყვნენ, რომლებიც უნდა გეყნოსათ და გადაგეგდოთ; კარგი, თუ ყნოსას მაინც დაიტკბობდით. იმერეთში არავინ ეგულებოდა, იქ ის აღარავის იცნობდა. იქნება იმ ქალებთაგანი ვინმე გამოჰყოლიყო, რომლებსაც მისვლა-მოსვლა ჰქონდათ იმის ნაბატონარის ოჯახში; უთუოთ გამოჰყვებოდი ვინმე იმის სიმდიდრეს, მაგრამ ისინი მარტო ფუჭ თავ-მომწონეობაში და ფლანგვაში იყვნენ დახელოვნებული, იმათ ამ საქმეებში სიყმაწვილიდანვე ავარჯიშებდენ და აბა რას გამოადგებოდენ მშრომელ კაცს? არც აპატიებდენ იმას, რომ წინათ მსახური იყო, უთუოთ წააყვედრებდენ პირველსავე უკმაყოფილობის დროს. არა, არც ერთი იმათგანი არ გამოადგებოდა ჯაგუს მეუღლეთ.

— არა, ჩემი ცოლი ჩემი ტოლი კაცის სახლიდან უნდა იყოს; დეე, ღარიბი ოჯახიდან იყოს: დოვლათი, ღვთის მადლით, მე თვითონა მაქვს. საჭირო კია ცოტა ესმოდეს რამე, რომ შნო მისცეს სიმდიდრეს. ლამაზიც უნდა იყოს, თორემ დამცინებენ ნაცნობები, ფიქრობდა ჯაგუ.

ვინ არის იმის ნაცნობ ქალებში ამისთანა? — არავინ, სულ არავინ! საკვირველი კი იყო: როცა ჯაგუ ამ საქმეზე ჩაფიქრდებოდა და მიეცემოდა საგონებელს, თითქო რაღაც სახე წამოუდგებოდა, თითქო ეს ფიქრები და მოსაზრება ადრევე ჰქონდა ვისგანმე გონებაში ჩასახული, მაგრამ ვისგან, ან როდის— ვერ მოეგონა.

ერთხელ დაღლილსა და მოქანცულ ჯაგუს მაინც ვერ დასძინებოდა, ძილი გაჰკრთობოდა და მისცემოდა საგონებელს. ფიქრობდა იმაზე, რამდენი ეთრია აქათ-იქით, რა ტანჯვა გამოიარა, რამდენი ეცადა, მანამ გზას გაიკვლევდა და ამ ადგილს მიაღწევდა. გაახსენდა თავისი დაობლება, ულუკმა პუროთ დარჩენა, სკოლიდან გამოსვლა. მოაგონდა, როგორ ჩამოვიდა ქალაქში ჯერ ისევ პატარა ბიჭი გძელი ჩოხით და ყაბალახით თავზე, როგორ უკიოდენ იმას ქუჩის ბიჭები; გაახსენდა უდიერი ოჯახები, სადაც იმას პირუტყვივით ამუშავებდენ უცმელ-უჭმელს, ცემდენ და ბოლოს იმ ორიოდე გროშსაც უჭერდენ, რომელიც ეკუთნოდა, ისე აგდებდენ სახლიდან. ახლაც კი ჟრუანტელმა დაუარა ტანში ამ მოგონებაზე. მოაგონდა ავათმყოფი მასწავლებლის სახლობა, სადაც ის ცოტა ხანს მსახურებდა, საცა ის სახლის შვილათ მიაჩნდათ; მოაგონდა, როგორ დადგა მსახურათ ორბელიშვილისას, როგორ შეაყვარა თავი, დაიმსახურა იმათი ნდობა ისე, რომ იმათი ქალები არსად წავიდოდენ, თუ ლამაზათ გამოწყობილი ჯაგუ არ გაეყოლებიათ თან... ამ მოგონებაზე ზე წამოიჭრა.

— იმე! ორბელიშვილისას რომ ძამიაანთ ნუშო დადიოდა, სწორეთ ის არის ვისაც მე ვეძებ! პატარა რომ იყო მაშინ, იმისთვის გადამვარდნია გონებიდან. ახლა ვეება ქალი იქნება. ობოლი, ღარიბი, შვენიერი. სწორეთ იმისი სახე მიტრიალებდა გონებაში, წიგნი და ყოფა-ქცევა იცის. იმის დედის ხელსაქმე განთქმულია. ძალიან პატიოსანი ადამიანია. სწორეთ ისინი არიან ჩემი საფერები. უკანასკნელათ რომ ვნახე, კარგათ შელერებული ქალი იყო. ახლა ოცი წლისა კიდეც იქნება. პატარა კი უნდა იყოს ჩემთვის: მე აგერ ორმოცი წლისა ვიქნები... მაინც რა უშავს! კი, მაგრამ ვინ დატოვებდა იმ შვენიერ ქალს აქამდინ გასათხოვარს...

ამ უკანასკნელმა აზრმა ძალიან დააღონა ვაჟკაცი. აგერ ხუთი წელიწადი მას აქეთ, რაც არ ენახა ის ქალი და ეფიქრებოდა, ვაი, თუ იმისთანა ლამაზი ქალი აქამდინ შინ არ დააყენესო. თანაც იმითი ინუგეშებდა თავს, რომ უბრალო კაცს ის არ გაჰყვებოდა, ხეირიანი კაცის შოვნა კიდევ ღარიბი ქალისათვის საძნელო არის. ჯაგუს კი წამოჰყვება, რადგან მდიდარია, ჯან-საღი და კარგი შეხედულობის ვაჟკაციც, როგორც არწმუნებენ ახალი ნაცნობები. მართალია, მოსამსახურობაშია გაზდილი, მაგრამ რა უყოთ? საკუთარი შრომით ცხოვრება როდის ყოფილა საძრახისი?! ახლა ხომ კარგი ხელობა უჭირავს და რათ დაიწუნებს იმას ნუშო?

— ეს ასეა, მაგრამ მე იმ ქალს პირათ არ ვიცნობ, იმის ოჯახში თავის დღეში არა ვყოფილვარ და არც ისეთი ვინმე მყავს, რომ გამაცნოს. პირდაპირ მივიდე და, ვაი, თუ საქმე წავახდინო! თუმცა საშიში კი არაფერია, მაგრამ მაინც სიფრთხილეს თავი არ ტკივა.

უნდოდა თვალი მაინც მოეკრა ქალისთვის, მაგრამ ესეც მოუხერხებელი იყო, რადგან ისეთ ქუჩაზე ცხოვრებდა ქალი, რომელზედაც მარტო ისინი დადიოდენ, ვინც იქა ცხოვრებდა, ან დოსტოლრივ საქმე რამე ჰქონდათ იქ; სხვა მგზავრს იქით გზას არ აძლევდა. ბოლოს მოიგონა, რომ ნუშოს ორბელიანთ კარის ეკლესიაში უყვარდა წირვა-ლოცვაზე სიარული და გადაწყვიტა იქ ეთვალიერებია ქალი.

ჯაგუ პირველსავე შაბათს მივიდა ორბელიანთ ეკლესიაში. შვენივრათ ჩაეცვა. ვერცხლის ქამარხანჯლით და ყაწიმებით მორთულიყო. შევიდა საყ-

დარში, გადაავლო თვალი თავის ნაბატონარებს და შეკრთა, იმან კი არ შეაკრთო, რომ შეეხათრა ან დიდი მოკრძალება იგრძნო; არა! გაიფიქრა იქნება თქვენ, რახან ფული იშოვა, თავისი თავი დიდი ბუზი ჰგონია და მოვიდა, რომ გვეჩვენოსო. ამ ფიქრმა აგრძნობია უხერხულობა. მაინც შეიკავა თავი. გადაათვალიერა ხალხი და მაშინვე იცნო ნუშო. ქალს მარცხნივ დაეჭირა ადგილი, საწიგნეს უკანდაეჩოქა, თავი მოეხარა, ევედრებოდა. ბეჭებზე გადაყრილი თმა მხრებზედაც გადაჰფენოდა, რადგან თმა არ დაეწნა, მარტო თმითვე ჰქონდა აქეთ-იქიდან აკრული. მოხდენილათ შეყრილი ქოქობოთ მორთული კაბა ეცვა. ნაკერი საყელო უჩანდა. თმა რომ აეკრა, პაწაწინა ყური და თეთრი ყურის ძირი გამოჰჩენოდა. ჯაგუმ მოზომა, როგორ დაშვენდებოდა სპეტაკ ყურს მარგალიტებით მორთული ზარისაყურე. ნუშომ ერთი კი შეანათა ბრიალა თვალები ვაჟკაცს და ისევ დალუნა თავი, ისევ ლოცვა დაიწყო. მლოცველი შვენიერება იყო, თუ შვენიერებასაც ეჭირვება ლოცვა. ჯაგუ რომ დააკვირდა ქალს, მთავარი ცნება დაებნა; დიდი სურვილი და ლტოლვილება იგრძნო. ჰაი, ჰაი! სასურველი იყო ეს ანგელოზი დედაკაცათ ექცია.

— მე თუ ეს ვარდი არ მოვწყვიტე, რათ მინდა ჩემი კაცობა, ან ჩემი სიმდიდრე,—გაიფიქრა მან.

ადვილი საქმე არ გამოდგა ეს. ორი თვე მეტი ხან აქეთ უარა ქალს, ხან იქით, მაგრამ ვერ მოახერხა გაცნობა. ისევ საყდარში თუ ელირსებოდა ხოლმე ნახვას. რამდენიც უფრო მეტი დრო გადიოდა, იმდენი უფრო ითვრებოდა კაცი ქალის ეშხით; თანაც იმდენი უფრო შიშობდა და ფთხილობდა: იცოდა რა მნიშვნელობა აქვს პირველ ნაბიჯს და გული უცემდა. თითონ რომ ველარაფერი მოაგვარა, დაასკვნა მაჭანკალი მიეგზავნა.

— თუ მაჭანკალმა ვერ მოახერხა, მაშინ მე თითონ შევეცდები. თუ პირველათვე პირდაპირ მე დავიწყე საქმე და უარი მითხრა, მაშინ ხომ ყველა გზა შემეკვრება, ფიქრობდა ჯაგუ.

ვ. ბარნოვი.

(შემდეგი იქნება)

## სახუმარო გასართობი.

(ვუძღვნი კრიტიკოსებს).

დღევანდელ ჩვენ მწერლობაში
არც სიტკბოა, არც ძალაო:
ენა მახინჯ—სკვითურია
აზრები სულ წყალ-წყალაო.
ორი კრიტიკოსიცა გვყავს
ორივ ენა-ტარტალაო,
ერთს სულ ფლავი აგონდება
და მეორეს არტალაო.

* * *

საფრანგეთის სამინისტროს
ცხადათ დამგვანებიაო:
დღეს სხვა დასი, ხვალ კიდევ სხვა,
ერთხელ ვის არ რგებიაო.
ჯერი მიდგა კიტა-ლალზე,
გრიშაც ზედ-ნადებიაო,
დაგელოცოს სამართალი,
ღმერთო, რა ამბებიაო?!.

N.

## სახუმარო გასართობი

დღეობა.

ხაბალე, გენაცვალე, გუნიას, მგონი, იცნობ
შენი ჭირიმე, ჩემთვინაც ბენუარი შეანახვინე
შეატყობინე, რომ ნუცა, ლოლა და მაშო
ყვავილებს უმზადებენ ყოველთვის გამარჯვებულს...

—ნეტა ვიცოდე, ქეთევან, რათ უნდა ამოდენა
ყვავილი იმ ადამიანს. მებაღობას ხომ არ აპირებს?
ამბობენ, რომ ახლა ჩრდილოეთიდანაც მოსულია ყვავილების თაიგული.

—უი, ქა, ეგ ხომ ტყუილი გამოდგა: ყვავილების კი არ იყო, ჰინჰრისა, ჰინჰრისა... მასაქეთ
საწყალი სულ დასუსხული დაიარება თურმე...

—ბატონო, მარიამ! მე კი არ დაგავიწყდეთ, ჩემთვისაც ადგილი უნდა იყოს თქვენ ლოჟაში.

წარმოიდგინეთ, ერეიჯს შევაკვრევინე კაბა, ოცი თუმანი მიჯდება...

—ენახოთ, ენახოთ, თუ ჩვენმა „სხაპა-სხუპამ" არ გაიმარჯვა...

— რაო, ვითომ რა გგონიათ, რომელი გაბედავს და შავს ჩაუგდებს?...

—ეს ყველაფერი კარგი, ქალებო. მაგრამ, ნეტა ვიცოდე, სად ემზადებით?.. რის ლოჟა, რა ბენუარი, ჩვენ თვითონ, თავად-აზნაურებს შიგ არავინ გვიშვებს. კარებში თურმე ჩამდგარან მთავარ-ანგელოზნი მიქელ და გაბრიელ. ცეცხლის მახვილის ნაცვლათ ხელში კონტრაქტი უჭირავთ გაშანშალებული.

ბალტაზარი.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

# ქუთაისის მიხაილის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე-24 § ძალით, 20 მაისს ამა 1896 წელს საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქმნებიან ქალაქ ქუთაისში ამავე ბანკის სადგურში ხსენებულ ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, შესახვედრ გარდასახადთა შემოუტანლობის გამო.

$18^{7}/_{12}$ და $19^{11}/_{12}$ წლიანნი სესხნი.

ქ. ქუთაისს.

ცქიტიშვილისა ფილიპე ზაალის ძის: მესხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 118 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 42 მან. 53 კაპ. შეს. გარ. 28 მან. 80 კაპ., სულ 71 მან. 33 კ.

თავდიდიშვილისა მამაჯან და მიხაილ ედოს ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 5,55 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 921 მან. 16 კაპ. შეს. გარ. 81 მან. 78 კაპ., სულ 1002 მან. 94 კაპ.

მეგრელიშვილისა იოსებ ისაკის ძის: ბალის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 114 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1406 მან. 55 კაპ. შეს. გარ. 133 მან. 18 კაპ., სულ 1539 მან. 73 კაპ.

ჭაბაკგისა ბესარიონ ალექსის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 65 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1939 მან. 25 კაპ. შეს. გარ. 105 მან. 90 კაპ., სულ 2045 მან. 15 კაპ.

$43^{1}/_{2}$ და $48^{2}/_{3}$ წლიანი სესხნი.

ქუთაისის გუბერნიის და მისივე მაზრისა.

ავალიანისა ლუკა და იესე სიმონის ძეთა: გუმათის აგარს სახნავ-სათესი, ზვარი და ტყე 26 დეს. 500 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 673 მან. 68 კაპ. შეს. გარ. 62 მან. 70 კაპ., სულ 736 მან 38 კ.

ქორქაშვილისა ლუკა დავითის ძის, გარდასული ნატალია ელიზბარის ასულის აგიაშვილზე: სოფ. ტყაჩირს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 114 დეს. 1931 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 12732 მან. 73 კაპ. შეს. გარ. 774 მან. 56 კაპ., სულ 1350 მან. 29 კაპ.

კიკნაძისა ივანე ზურაბის ძის: სოფ. დიმს სახ-

ნავ-სათესი და ტყე 15 დღს. 2040 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ელი 848 მან. 84 კაპ. შეს. გარ. 78 მან. 47 კაპ., სულ 927 მან. 31 კაპ.

გამყრელიძის ლევან გიორგის ძის: სოფ. ობჩის ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 11 დღს. 1464 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ელი 776 მან. 6 კაპ. შეს. გარ. 66 მან. 87 კაპ., სულ 842 მან. 93 კაპ.

ერისთვის გიორგი დავითის ძის: სოფ. სადომინაოს და ნოღას სახნავ-სათესი, ზვარი და ტყე 31 დღს. 1312 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ელი 2625 მან. 6 კაპ. შეს. გარ. 208 მან. 20 კაპ.; სულ 2833 მან. 26 კ.

მიქელაძის მელქისედექ დიმიტრის ძის: სოფ. კულაშს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი 12 დღს. 1860 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ელი 2231 მან. 65 კაპ. შეს. გარ. 119 მან. 96 კაპ, სულ 2351 მან. 61 კაპ.

მისივე: სოფ. ჭყიშურს სახნავ-სათესი 26 დღს. 355 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ელი 4463 მან. 87 კაპ შეს. გარ. 307 მან. 21 კაპ., სულ 4771 მან. 8 კაპ.

მიქელაძის ადმირალ ივანეს ძის: სოფ. კულაშს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი 12 დღს. 90 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ელი 2678 მან. შეს. გარ. 195 მან. 82 კაპ., სულ 2873 მან. 82 კაპ.

მიქელაძის ნესტორ და ვარლამ გიორგის ძეთა: სოფ. ჭყიშურს სახნავ-სათესი 32 დღს. 1010 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ელი 6695 მან. 5 კაპ. შეს. გარ. 470 მან. 30 კაპ. სულ 7165 მან. 35 კაპ.

ავალიანის გრიგოლ თომას ძის: გუმათის ავარს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 20 დღს. 1693 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ელი 1077 მან. 90 კაპ. შეს. გარ. 83 მან. 83 კაპ., სულ 1161 მან, 73 კ.

ავალიანის ლუკა სიმონის ძის: ოფურჩხეთის ავარს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 21 დღს. 225 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ელი 932 მან. 87 კაპ. შეს. გარ. 71 მან. 3 კაპ., სულ 1003 მან. 90 კ.

ბოჭორიშვილის ილარიონ გიორგის ძის და ანტონ დავითის ძის: სოფ. ამაღლების ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 6 დღს. 1800 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ელი 466 მან. 39 კაპ. შეს. გარ. 48 მან. 76 კაპ., სულ 515 მან. 15 კ.

ერისთვის ვახუ დავითის ძის: სოფ. სადომინაოს ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 16 დღს. 1450 ოთხ კუთხი საჟ. თავნი ელი 1249 მან. 23 კაპ. შეს. გარ. 88 მან. 20 კაპ., სულ 1337 მან. 43 კაპ.

იაშვილის არისტო ივანეს ძის: სოფ. გეგუთს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი 4 დღს. 140 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ელი 677 მან. 58 კაპ. შეს. გარ. 60 მან. 48 კაპ., სულ 738 მან. 6 კაპ.

ლორთქიფანიძის ტარიელ სიკოს ძის: სოფელ კულაშს ეზო 3 დღს. თავნი ელი 585 მან. 5 კაპ. შეს. გარ. 50 მან. 47 კაპ., სულ 635 მან. 52 კაპ.

კიკვაძის სილუან და თეოდოსი გიორგის ძეთა: სოფ. ოფჩის ზვარი და ტყე 8 დღს. 1905 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ელი 978 მან. 18 კაპ. შეს. გარ. 65 მან. 48 კაპ., სულ 1043 მან. 66 კაპ.

ნიჟარაძის დავით ოტიას ძის: სოფ. ოფიშქვითის ეზო, სახნავ-სათესი და ტყე 47 დღს. 1500 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ელი 3912 მან. 63 კაპ. შეს. გარ. 262 მან. 62 კაპ., სულ 4175 მან. 25 კაპ.

ნიჟარაძის ალექსანდრე ოტიას ძის: სოფ. ოფიშქვითის ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 22 დღს. 692 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ელი 1662 მან. 88 კაპ. შეს. გარ. 114 მან. 13 კაპ., სულ 1777 მან. 1 კ.

ავალიანის იესე სიმონის ძის: ქონეთის ავარს სახნავ-სათესი, ზვარი და ტყე 22 დღს. 1960 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ელი 1177 მან. 35 კაპ. შეს. გარ. 72 მან. 69 კაპ., სულ 1250 მან. 4 კაპ.

მიქელაძის ადმირალ ივანეს ძის: სოფ. კულაშს სახნავ-სათესი 10 დღს. 300 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ელი 1766 მან. 4 კაპ. შეს. გარ. 120 მან. 4 კაპ., სულ 1886 მან. 8 კაპ.

კიკნაძის სოლომონ (იგივე გიორგი.) ზურაბი,

ძის სოფ. დიმს ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 13 დეს. 2020 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 2664 მან. 52 კაპ. შეს. გარ. 162 მან. 42 კაპ., სულ 2826 მან. 94 კაპ.

მისივე და იოანე ზურაბის ძის: სოფ. დიმს ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 14 დეს. 730 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 2763 მან. 21 კაპ. შეს. გარ. 167 მან. 50 კაპ., სულ 2930 მან. 71 კ.

**ჩიხლაძისა** თეიმურაზ ამირანის ძის: სოფ. სადომინაოს ეზო, ზვარი და ტყე 2 დეს. 158 ოთხ კუთხი საჟ. თავნი ვალი 296 მან. 5 კაპ. შეს. გარ. 32 მან. 44 კაპ., სულ 328 მან. 49 კაპ.

**ჩიჯავაძისა** ვლადიმირ მანუჩარის ძის: სოფ. ამაღლებას ეზო, სახნავ-სათესი და ტყე 15 დეს. 354 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1979 მან. 24 კაპ. შეს. გარ. 72 მან. 15 კაპ., სულ 2051 მან. 39 კ.

## შორაპნის მაზრისა.

**ლეჟავასი** ვახტანგ იესეს ძის: სოფ. კვალითს და ცხრაწყაროს ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 24 დეს. თავნი ვალი 1669 მან. 36 კაპ. შეს. გარ. 137 მან. 76 კაპ., სულ 1807 მან. 12 კაპ.

**ჩხეიძისა** დავით ბერის ძის: სოფ. ფუთს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 6 დეს. 1800 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 384 მან. 38 კაპ. შეს. გარ. 39 მან. 99 კაპ., სულ 424. მან 37 კაპ.

**წულუკიძისა** დავით და კონსტანტინე ანტონის ძეთა: სოფ. საზანოს ეზო, ზვარი, სახნავ სათესი და ტყე 13 დეს. 1418 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 2613 მან. 54 კაპ. შეს. გარ. 136 მან. 30 კაპ., სულ 2749 მან. 84 კაპ.

**მაჭავარიანისა** ბიჭია ბექანის ძის: სოფ. იდემს და ბორს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 8 დეს. 300 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1177 მან. 36 კაპ. შეს. გარ. 72 მან. 69 კაპ., სულ 1250 მან. 5 კაპ.

**ცქიტიშვილისა** რაჟდენ ბესოს ძის: სოფ. ლაშეს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 10 დეს. 405 ოთხ კუთხი საჟ. თავნი ვალი 981 მან. 14 კაპ. შეს. გარ. 61 მან. 97 კაპ., სულ 1043 მან. 11 კ.

**ლეჟავასი** სპირიდონ გიორგის ძის: სოფ. ცხრაწყაროს და კვალითს სახნავ-სათესი 51 დეს. 719 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 9446 მან. 70 კაპ. შეს. გარ, 801 მან. 8 კაპ., სულ 10247 მან. 78 კაპ.

**თავზაროვისა** კონსტანტინე იოსების ძის: სოფ. თეთრასწყაროს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 30 დეს, 560 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 3947 მან. 44 კაპ. შეს. გარ. 248 მან. 46 კაპ., სულ 4195 მან. 90 კ.

**მაჭავარიანისა** დიმიტრი ბექანის ძის: სოფ. ხონს, წყალთფორეთს და ალავერდს სახნავ-სათესი, ზვარი და ტყე 32 დესტ. 1536 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 5541 მან. 87 კაპ. შეს. გარ. 208 მან. 2 კაპ., სულ 5749 მან. 89 კაპ.

## რაჭის მაზრისა.

**იაშვილისა** ტიმოთე როსტომის ძის: სოფ. წოდას და სომიწოს ზვარი, სახნავ-სათესი და სათიბი 8 დეს. 160 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1293 მან. 86 კაპ. შეს. გარ. 85 მან. 5 კაპ., სულ 1378 მან. 91 კაპ.

**რაზმაძეთა** გიგო იოანეს ძის და ბექან ნიკოლოზის ძის: სოფ. წმენდოურს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი 6 დეს; 1870 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 847 მან. 31 კაპ. შეს. გარ. 43 მან. 47 კაპ., სულ 890 მან. 78 კაპ.

## სენაკის მაზრისა.

**მიქაძისა** ნესტორ გიგოს ძის, კვანტალიანისა ბათუ მიხაილის ძის და გერგაიასი პეტრე ტუიას ძის: სოფ. ჭალადიდს სახნავ-სათესი, საბალახე და ტყე 750 დეს. თავნი ვალი 12732 მან. 67 კაპ. შეს. 1172 მან. 58 კაპ., სულ 13905 მან. 25 კაპ.

**თოფურიძისა** ჯაგუ და ნესტორ ევნატეს ძეთა: სოფ. ზანათს სახნავ-სათესი 11 დეს. 1680 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1347 მან. 32 კაპ. შეს. გარ. 93 მან. 1 კაპ., სულ 1440 მან. 33 კაპ.

**მიქელაძისა** მელიტონ გლახუას ძის: სოფ. ციდორს სახნავ-სათესი 158 დეს. 120 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 28243 მან. 94 კაპ. შეს. გარ. 1254 მან. 75 კაპ., სულ 29498 მან. 69 კაპ.

**ავალიანისა** ლუკა მერაბის ძის: სოფ. ბოგაშს ეზო და საენავ-სათესი 22 დეს. 1590 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 2364 მან. შეს. გარ. 145 მან. 17 კაპ,, სულ 2509 მან. 17 კაპ.

ავალიანისა ელენე დიმიტრის ასულის: სოფ. ბოგაშს ზვარი და სახნავ-სათესი 11 დეს. 60 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 1702 მან. 7 კაპ. შეს. გარ. 118 მან. 37 კაპ., სულ 1820 მან. 44 კაპ.

ბერიძისა მემკვიდრეთა იოანე პეტრეს ძის: სოფ. შხეფს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი 9 დეს. 450 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 667 მან. 44 კაპ. შეს. გარ. 33 მან. 38 კაპ., სულ 700 მან. 82 კ.

მიქელაძისა მელიტონ გლახუას ძის: სოფ. ციდორს ეზო და სახნავ-სათესი 41 დეს. 600 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 6751 მან. 65 კაპ. შეს. გარ. 481 მან. 46 კაპ., სულ 7233 მან. 11 კ.

მიქელაძეებთა ვლადიმირ და ნინა მიხაილის ძეთა და ჩხეიძისა ალექსანდრა მიხაილის ასულის: სოფ. ციდორს სახნავ-სათესი 138 დეს, 820 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 22427 მან. 61 კაპ. შეს. გარ. 1330 მან. 6 კაპ., სულ 23757 მან. 67 კაპ.

კორძაიასი კარპეზ სიმონის ძის: სოფ. საჭილაოს ეზო და სახნავ-სათესი 9 დეს. 620 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 978 მან. 18 კაპ. შეს. გარ. 65 მან. 48 კაპ., სულ 1043 მან. 66 კაპ.

ავალიანისა ლუკა მერაბის ძის: სოფ. საჭილაოს სახნავ-სათესი 4 დეს. 300 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 392 მან. 46 კაპ. შეს. გარ. 35 მან. 38 კაპ., სულ 427 მან. 84 კ.

გაბუნიასი ნეოდინა დიმიტრის ასულის: სოფ. ბოგაშს სახნავ-სათესი 6 დეს. 450 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 588 მან. 68 კაპ. შეს. გარ. 50 მან. 47 კაპ., სულ 639 მან. 15 კაპ.

მიქელაძისა ვლადიმირ და ნინა მიხაილის ძეთა და ჩხეიძისა ალექსანდრა მიხაილის ასულის: სოფ. ციდორს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 57 დეს. 840 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 5953 მან. 87 კაპ. შეს. გირ. 333 მან. 60 კაპ., სულ 6287 მან. 47 კაპ.

კორძაიასი გიგო გლახუას ძის: სოფ. ილორს პირველს ეზო, სახნავ-სათესი და ზვარი 7 დეს. 1200 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 994 მან. 94 კაპ. შეს. გარ. 42 მან. 8 კაპ., სულ 1037 მან. 2 კაპ.

## ოზურგეთის მაზრისა.

თავდგირიძისა მემკვიდრეთა როსტომ ბეჟანის ძის: სოფ. აკეთს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე 64 დეს. 420 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 2624 მან. 17 კაპ. შეს. გარ. 194 მან. 41 კაპ., სულ 2818 მან. 58 კ.

კვაჭანტირაძისა კოსტანტინე იესეს ძის: სოფ. ოზურგეთს სახნავ-სათესი 4 დეს. 2100 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 287 მან. 19 კაპ. შეს. გარ. 31 მან. 73 კაპ., სულ 318 მან. 92 კაპ.

მაჭუტაძისა ალექსანდრე გიორგის ძის: ნიგოითის აგარს სახნავ-სათესი 102 დეს. თავენი ვალი 8020 მან. 89 კაპ. შეს. გარ. 453 მან. 92 კაპ., სულ 8474 მან. 81 კაპ.

მაჭუტაძისა ალექსანდრე გიორგის ძის: სოფ. ნიგოითის აგარს სახნავ-სათესი და ტყე 208 დეს. თავენი ვალი 9811 მან. 30 კაპ. შეს. გარ. 538 მან. 75 კაპ., სულ 10.350 მან. 5 კ.

მისივე: ნიგოითის აგარს სახნავ-სათესი 107 დეს. 310 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 7796 მან. 9 კაპ. შეს. გარ. 433 მან. 75 კაპ., სულ 8229 მან. 84 კაპ.

მოკლე ვადიანნი სესხნი.

## ქ. ქუთაისს,

გამყრელიძისა ნინა ლევანის ასულის: ბალახვანის ქუჩის შესახვევში სამოსახლო ადგილი 731 ოთხ-კუხი საჟ. თავენი ვალი 800 მან. შეს. გარ. 53 მან. 22 კაპ., სულ 853 მან, 22 კ.

## ქუთაისის მაზრისა.

სოფ. ტყაჩირს.

მემკვიდრეთა აგიაშვილისა კოსტანტინე ბეჟანის ძის: ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი 23 დეს. 760 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 2000 მან. შეს. გარ. 195 მან. 50 კაპ., სულ 2195 მან. 50 კაპ.

Доз. ценз. Тифлисъ, 20 Апрѣля 1896 г. — Тип. М. П. Ротиніанца სტამბა, შ. დ. როტინიანცის Гол. пр., № 41